პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 214 (9682) | ხუთშაბათი, 10 სექტემბერი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

რუსული ლიტერატურის დიდება — „პრავდის“ 9/IX მოწინავე (1-ლი გვერდი).

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).

დ. გულისაშვილი. — შეჯიბრება გრძელდება (1-ლი გვერდი).

აგიტატორის დასახმარებლად. — **დ. ბურმისტროვი.** — ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ (მე-2 გვერდი).

ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავისადმი (1-ლი-2 გვერდი).

წერილები რედაქციას (მე-2 გვერდი).

ი. წიკლაური. — უხვად მივაწოდოთ საბჭოთა მშრომელებს საუკეთესო ხარისხის კონსერვები და ღვინოები (მე-3 გვერდი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. — **დ. კაკაბაძე.** — საინტერესო წიგნი დიდ რუს მხედართმთავრებზე (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

რუსული ლიტერატურის დიდება

დღეს შესრულდა 125 წელი, რაც დაიბადა დიდი რუსი მწერალი, ჩვენი სამშობლოსა და მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდება და სიამაყე — სიტყვის გენიალური ოსტატი ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი. ლევ ტოლსტოის უკვდავმა ქმნილებებმა მთელი ეპოქა შეადგინა კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში. ეს ქმნილებანი ფასდაუდებელ განძს წარმოადგენენ მსოფლიო კულტურის საუნჯეში. მათ მთელ მსოფლიოს დაანახვეს უმაგალითოდ ძლიერი გენია რუსი ხალხისა, ვინი ერთგული შვილიც იყო ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი.

ტოლსტოის სახელი ძვირფასია ყოველი კულტურული ადამიანისათვის. ვ. ი. ლენინი მას უწოდებდა გენიალურ მხატვარს, რომლის ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში. ნ. ჩერნიშევსკიმ ტოლსტოის სახელი „რუსული ლიტერატურის იმედად“ გამოაცხადა, როცა დაიბეჭდა ტოლსტოის პირველი ნაწარმოებნი. „ტოლსტოი მთელი სამყაროა“, — აღტაცებით წერდა გორკი. დასავლეთის გამოჩენილი მწერლები ფლობერი და მოპასანი, რომენ როლანი, დრაიზერი, გოლსუორსი და ბევრი სხვა ქედს იხრიდნენ რუსული ლიტერატურის გენიის წინაშე. უალრესად ერონვლი მწერალი, რომელმაც თავის წიგნებში აღძრა იმ დროის რუსი საზოგადოების ცხოვრების ძირეული საკითხები, ლევ ტოლსტოი ამავე დროს მთელი კაცობრიობის სიამაყე გახდა. მის ხსოვნას ფართოდ აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, ხოლო მათთან ერთად მთელი მსოფლიოს ხალხებიც.**

ლევ ტოლსტოის მსოფლიო მნიშვნელობა იმით განისაზღვრება, რომ მისი წიგნები გენიალური მხატვრული გაშუქებით გვიჩვენებენ რუსეთის სინამდვილის ყველაზე არსებით მხარეებს და უწინარეს ყოვლისა — რევოლუციის მომზადების ეპოქას. ვ. ი. ლენინმა ტოლსტოის ქმნილებებს უწოდა რუსეთის რევოლუციის სარკე, ხაზგასმით აღნიშნა ტოლსტოის ნაწარმოებთა უდიდესი ძალა და ამასთანავე გვიჩვენა სისუსტე მისი მსოფლმხედველობისა, რომელიც პატრიარქალური გლეხობის შეხედულებებს ასახავდა.

წარსული საუკუნის შუაწლებში დაიწყო ლ. ნ. ტოლსტოის სამწერლო მოღვაწეობა. ნახევარ საუკუნეზე მეტ ხანს გაისმოდა მძლავრი ხმა მხატვრისა, რომელიც ხდიდა ყველა და ყოველგვარ ნიღაბს, უშიშრად და გულისწყრომით ამბობდა უალრესად მკაცრ სიმართლეს. მისი შემოქმედება განპირობებული იყო რუსეთის მთელი სინამდვილით, რევოლუციის მოშზადების ეპოქით, XIX საუკუნის დიდი რუსული ლიტერატურის განვითარებით. რუსული ლიტერატურის — დიდი, ბრძოლაში შეუდრეკელი, მამაცი ხალხის ლიტერატურის რეალიზმი იმ დროის მსოფლიო ხელოვნების უმაღლესი მიღწევა იყო. ამ რეალიზმს ახასიათებდა უმაგალითოდ ღრმად ჩაწვდომა სინამდვილეში, ძალა და სიმტკიცე ადამიანის დაცვაში, უშიშარი მხილება რეაქციული ძალებისა. ამ ლიტერატურის დროშა იყო ხალხის საქმისადმი ერთგულების კეთილშობილური იდეები, ხელოვნებაში ცხოვრების სიმართლისათვის ბრძოლის იდეები. ტოლსტოიმ განავითარა და განაგრძო ჩვენი ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციები, პუშკინის, ბელინსკის, გოგოლის ტრადიციები.**

მან ულმობლად ამხილა ბატონყმური წყობილების საშინელებანი, გაბატონებული კლასების საზოგადოებრივი სიყალბე, სიცრუე, მან ამხილა კაპიტალისტური ექსპლოატაციის ძალადობა, მეფის რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილების სიმახინჯე და საზარელი დანაშაულობანი, მჩაგვრელთა ფარისევლური და საზიზღარი მორალი, მან დაგვიხატა მშრომელი მასების ტანჯვისა და სიღატაკის დაუვიწყარი სურათები.

ჩვენს ხალხს მხურვალედ უყვარს ტოლსტოის წიგნები. ეს სიყვარული იმით არის გამოწვეული, რომ მწერლის ყველა ნაწარმოებში ჩაუქრობელი ცეცხლივით ღვივის თვითონ ტოლსტოის სიყვარული ხალხისადმი, რომელიც მწერალს ისტორიის მთავარ მამოძრავებელ ძალად მიაჩნდა. „სევასტოპოლის მოთხრობებშიც“, „კაზაკებშიც“, დიადს, მთელ მსოფლიო ხელოვნებაში უბადლო ეპოპეა „ომსა და მშვიდობაშიც“, სხვა გრანდიოზულ მის ქმნილებებშიც — ყველგან ჩანს ეს სიყვარული რიგითი მშრომელისადმი, ხალხიდან გამოსული ადამიანისადმი — რუსეთის იმედისა და მომავლისადმი.

ტოლსტოიმ არაჩვეულებრივად ფართოდ და ამასთანავე გასაოცარი სიღრმით ასახა ყველა მხარე რუსეთის ყოფისა ხალხის ცხოვრების მთელი საუკუნის განმავლობაში. მის რომანებში, მოთხრობებში, პიესებში წარმოსახულია იმ ეპოქის ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენა, დაწყებული 1812 წლის სამამული ომით და დამთავრებული კაპიტალიზმის განვითარებითა და რევოლუციური მოძრაობის ზრდით საუკუნის დამლევს.

ვ. ი. ლენინმა თავის სტატიებში ცხადყო ტოლსტოის შემოქმედების ღრმა ხალხური ხასიათი: „დიდი ზღვა-ხალხი, რომელიც უდიდეს სიღრმეებამდე აზვირთდა, მთელი თავისი ხუსტი და ძლიერი მხარეებით აისახა ტოლსტოის მოძღვრებაში“.

მარქსიზმ-ლენინიზმისათვის სრულიად უცხოა წარსულის გამოჩენილ მოღვაწეთა იდეალიზაციის, შელამაზების რაიმე ცდა. ტოლსტოის შემოქმედება რთული და წინააღმდეგობრივია. ლენინის სტატიებში ტოლსტოის შესახებ გამოვლინებულია ამ წინააღმდეგობრიობის მიზეზები. ტოლსტოის შემოქმედება იყო ულმობელი საბრალდებო აქტი ძველი, თვითმპყრობელური, მემამულურ-ბურჟუაზიული რუსეთის წინააღმდეგ. მაგრამ ეს იყო კრიტიკა პატრიარქალური გლეხობის პოზიციებიდან, ამიტომ იქ გამოხვევის სახოწარკვეთილება ადამიანებისა, რომლებიც ვერ ხედავდნენ სამართლიანი საზოგადოებრივი წყობილების მიღწევის ნამდვილ გზებს. აქედან წარმოდგებოდა ქრისტიანული მორალის ქადაგება, აქედან წარმოდგებოდა ტოლსტოის რეაქციული იდეები, რომლებმაც თავი იჩინა მის ფილოსოფიაშიც და მის მხატვრულ შემოქმედებაშიც. ის რეაქციული რამ, რასაც ტოლსტოის მემკვიდრეობა შეიცავს, წარსულს ჩაბარდა, და მეტად უხეში შეცდომა იქნებოდა ვცდილიყავით გაგვეცოცხლებინა ანდა როგორმე მოგვეხდინა მისი რეაბილიტაცია. გენიალური მწერლის მემკვიდრეობაში მთავარი ეკუთვნის არა წარსულს, არამედ მომავალს.

ტოლსტოიმ დაგვიტოვა ქმნილებანი, რომლებიც კრიტიკული რეალიზმის მწვერვალია. მან უბადლო ოსტატობით შექმნა რუსეთის ცხოვრების გრანდიოზული სურათები, თავისი გმირების ცოცხალი, უკვდავი ხასიათები, ხელოვნების გასაოცარი ნიმუშები. მან ძლიერი ზეგავლენა მოახდინა მსოფლიო ლიტერატურის მთელ განვითარებაზე. მისი ნაწარმოებებით სწავლობდნენ და სწავლობენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის პროგრესული მწერლები.

სოციალიზმის ქვეყანაში ტოლსტოის მემკვიდრეობა ხალხის კუთვნილება გახდა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

43 წლის წინათ, ტოლსტოის გარდაცვალების წელს, ლენინი მწუხარებით აღნიშნავდა, რომ გენიალური მწერლის წიგნებს ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმნიშვნელო უმცირესობა იცნობს. მისი დიდი ნაწარმოებნი რომ მართლაც ყველას კუთვნილება გახდეს, აღნიშნავდა ლენინი, საჭიროა ბრძოლა და ბრძოლა ისეთი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ, რომელმაც მილიონობით და ათეულ მილიონობით ადამიანს წილად არგუნა სიბნელე, ჩაგვრა, კატორღული შრომა და სიღატაკე, საჭიროა სოციალისტური გადატრიალება.

სოციალისტურმა რევოლუციამ ხალხს მიანიჭა კულტურის ყველა სიკეთე, გენიალური მხატვრის შემოქმედება, ისევე როგორც ლიტერატურისა და ხელოვნების მთელი საუნჯე, მშრომელთა მილიონიანი მასების ხელმისაწვდომი გახადა. ტოლსტოის წიგნები ჩვენს ქვეყანაში გამოცემულია 50 მილიონზე მეტ ცალად 75 ენაზე. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავის დღესასწაული გადაიქცა ჩვენი კულტურის დღესასწაულად, დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენად.

საბჭოთა ლიტერატურა მემკვიდრეობად იღებს და ავითარებს კლასიკის საუკეთესო ტრადიციებს. ტოლსტოის ქმნილებანი ლიტერატურული ოსტატობის დიდებული სკოლაა საბჭოთა მწერლებისათვის, რომლებიც მოწოდებული არიან მხატვრულ ნაწარმოებებში ასახონ ჩვენი ეპოქის დიადი მოვლენები და საქმეები. ჩვენმა მწერლებმა ტოლსტოისაგან უნდა ისწავლონ ცხოვრების პროცესების არსში ღრმად ჩაწვდომა, იმის ოსტატობა, რომ აღძრან ხალხის ცხოვრების უალრესად მწვავე საკითხები, სისხლსავსე ხასიათების, უკვდავი მხატვრული სახეების შექმნის გასაოცარი ხელოვნება. მათ ტოლსტოისაგან უნდა ისწავლონ დიდი მომთხოვნელობა თავიანთი თავისადმი, ზრუნვა იმისათვის, რომ მხატვრული ნაწარმოების ფორმა იყოს სრულყოფილი, ყველა ნაწილი და ყველა დეტალი დასრულებული.

ახლა, კომუნიზმის აშენებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის პირობებში, განსაკუთრებით იზრდება როლი და მნიშვნელობა მხატვრული ლიტერატურისა, რომელიც მოწოდებულია დაეხმაროს პარტიას აღზარდოს ხალხი კომუნისტური სულისკვეთებით. კომუნისტური პარტიის XIX ყრილობაზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში. ამ ნაკლოვანებათა დაძლევას, ჩვენი ხალხის შესაფერის ნაწარმოებთა შექმნას მწერლები შეძლებენ მხოლოდ ცხოვრების ღრმად და ყოველმხრივად შესწავლის, მარქსისტულ-ლენინური თეორიის დაუფლების, კლასიკის უდიდესი მხატვრული ნიმუშების გულმოდგინედ და ბეჯითად შესწავლის შედეგად. რუსული კულტურის ხიმაყე — ტოლსტოის მხატვრული მემკვიდრეობა — მეტად ბევრ რამეს იძლევა ჩვენი მწერლების შემოქმედებითი სწავლისათვის.

ჩვენი ხალხი — ტოლსტოის შემოქმედების კანონიერი მემკვიდრე — ამაყობს რუსეთის დიდი შვილით, რომელმაც შექმნა უკვდავი მხატვრული ნაწარმოებნი. სოციალისტურმა წყობილებამ ეს ნაწარმოებნი ნამდვილად ხალხის კუთვნილება გახადა, მშრომელთა უფროსოფესი მასები აზიარა დაუშრეტელ სულიერ სიმდიდრეს. სათუთად ინახავს რა წარსულის კულტურის ძვირფას საუნჯეს, ავითარებს და ამდიდრებს რა ჩვენი კლასიკის საუკეთესო ტრადიციებს, საბჭოთა ხალხი მტკიცე რწმენით ავითარებს მსოფლიოს ყველაზე მოწინავე კულტურას — სოციალისტურ კულტურას.

„პრავდის“ 9-IX მოწინავე.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობისა და დამზადებათა სამინისტროს ტაჯიკეთის სსრ საბჭოთა მეურნეობა „სტალინაბადსკის“ ტრაქტორისტის პ. ა. ფილიპენკოსათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 6 ივნისის ბრძანებულების შესაბამისად 1952 წელს სარწყავ მიწებზე ბამბის უხვი მოსავლის მიღებისათვის, როცა საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების გეგმა და უზრუნველყოფილია ყველა კულტურის თესლით 1953 წლის საგაზაფხულო თესვისათვის, მიენიჭოს სოციალისტური შრომის გმირის წოდება და გადაეცეს **ლენინის** ორდენი და ოქროს medali **„ნამგალი და ურო“** ტრაქტორისტს პეტრე არქიპოს-ძე **ფილიპენკოს,** რომელმაც 80,5 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოაყვანა 48,7 ცენტნერი ბამბა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი 1953 წ. 8 სექტემბერი.

საბჭოთა საქართველოს დღე

გურჯაანელ მევენახეთა დელეგაციის წევრები სტუმრად ზესტაფონელ მევენახეებთან. ქვემო სანანოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. დეკანოიძე (მარცხნიდან მეოთხე) ესაუბრება ხაკითხზე.

ზურგაანელ მევენახეთა დელეგაციის ზესტაფონელ მევენახეებთან. ზესტაფონის რაიონის სოფელ ბარგებლოს ბაღში.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

სამეცნიერო სესია

სტალინირი. (ს. ა. კორ.). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სკრის მეზობლობის საცდელმა სადგურმა აქ მოაწყო სამეცნიერო სესია.

სესიის ფუშაობაში საცდელი სადგურის მეცნიერ მუშაკებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს სამხრეთ ოსეთში მომუშავე სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, კოლმეურნეობათა მოწინავე ადამიანებმა.

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ა. სკკოროცომა სესიაზე წაიკითხა ლექცია: „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ხეხილის ბაღებში ნიადაგის მოვლა და განოყივრება“. სესიაზე მოხსენებებით გამოვიდნენ აგრეთვე სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები ე. ერისთავი და ნ. სიფროშვილი.

სესიის მიერ დაყენებული საკითხების პრაქტიკულად გადაჭრა ხელს შეუწყობს სამხრეთ ოსეთში მეზობლობის გაუმჯობესებას.

ქარხნის ტექნიკური ბიბლიოთეკა

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას აქვს მდიდარი ტექნიკური ბიბლიოთეკა, რომლის წიგნის ფონდი 12 ათას ცალს აღემატება. ქარხნის საამქროებში გამოყოფილია ახალი ლიტერატურის სია, რომელშიც არის წიგნები სამრეწველო ენერგეტიკის, ავტოგენის საქმისა და რკინიგზის ტრანსპორტის საკითხებზე.

ქარხნის ტექნიკური ბიბლიოთეკა დიდი პოპულარობით სარგებლობს საწარმოს მუშებში და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებში.

ბიბლიოთეკაში ხშირად იმართება მკითხველთა კონფერენციები და სუბრები, ინჟინერები და ნოვატორი მუშები ერთმანეთს უზიარებენ თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების თავიანთ გამოცდილებას. ეს დიდად ეხმარება მუშებს მოწინავენი გახდნენ „თავიანთ“ საქმეში.

საშემოდგომო ხორგლის თესვა დაიწყო

ბოლრი. (ხაკ. კორ.) მდინარე ლიახვის მარჯვენა მხარეს დაიწყო საშემოდგომო ხორბლის თესვა. თესვას შეუდგნენ სოფელ ვარიანის, შინდისის, საქაშეთის, ფხვენისის და ნიქოზის კოლმეურნეობები. დათესილია 460 ჰექტარი.

თესვაში დაწინაურდა შინდისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა. აქ დათესილია 250 ჰექტარი საშემოდგომო ხორბალი.

ჩაის ფოთლის დამზადება

საქართველოს ჩაის ტრესტის ცნობებით, 6 სექტემბრისათვის ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების წლიური გეგმა მთელ რესპუბლიკაში შესრულებული იყო 87,2 პროცენტით, ხოლო სექტემბრისა წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით — 14 პროცენტით.

ცალკე რაიონებში ჩაის ძირითადი ფოთლის დამზადების მიმდინარეობა შემდეგ სურათს იძლევა: ბათუმის რაიონს ჩაის ფოთლის კრეფის სექტემბრის დავალება წინა თვეების დანაკლისით შესრულებული ჰქონდა 8,7 პროცენტით, ქობულეთის — 14,5, გალის — 10,7, ოჩამჩირის — 15,2, გულრიფშის — 19,3, სუხუმის — 46,9, გუდაუთის — 32,4, მახარაძის — 13,4, ჩოხატაურის — 20,4, ლანჩხუთის — 11, სამტრედიის — 16,2, წულუკიძის — 8,8, ქუთაისის — 23,7, წყალტუბოს — 5,6, ტყიბულის — 20, ცხაკაიას — 10,6, აბაშის — 5,1, გეგეჭკორის — 11,7, ზუგდიდის — 24,5, წალენჯიხის — 18,8, ხხოროწყუს — 16,4, ხობის — 13,7, თერჯოლის — 12,1 და ზესტაფონის რაიონს კი — 1 პროცენტით.

სოფახანოველი მამა და შვილები

ჭიათურა. („კომუნისტის“ საკ. კორ.). დიმიტროვის სახელობის მაღაროს სტახანოველი კონსტანტინე იაკობიძე სამი ათეული წელია, რაც მარგანეცის მრეწველობაში მუშაობს. იგი საუკეთესოდ არის დაუფლებული რკინიგზელის, ამფეთქებლის, ზეინკლის, მბურღავის, მებიგის და ამწმენდის პროფესიებს. ამჟამად ამხ. იაკობიძე ამწმენდად მუშაობს და გეგმას ორმაგად ასრულებს. იგი უკვე მესამე თვეა, რაც ხუთწლედის უკანასკნელი წლის ანგარიშში იძლევა მარგანეცს.

დახელოვნებულმა მაღაროელმა თავის უფროს შვილს კარლოს მებიგეობა, მარგანეცის აშენდა შეასწავლა. ახლა ახალგაზრდა სტახანოველი ყოველდღიურ დავალებას 180-200 პროცენტით ასრულებს. მან შვიდი თვის გეგმა 187 პროცენტით გაანაღდა. სტახანოველია აგრეთვე კონსტანტინეს მეორე ვაჟი მიხეილიც. იგი ყოველ ცვლაში გეგმის გადამეტებით 10-12 ტონა მარგანეცს აძლევა. მან აგვისტოს პირველ რიცხვებში შეასრულა მეხუთე ხუთწლედის მეოთხე წლის დავალება.

მამა და შვილები თავდადებულად შრომობენ, მეტალურგიას მეტ და მაღალხარისხოვან მარგანეცს აძლევენ.

შეჯიბრებაში დანინაურებული

ხულო. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ბევრი კოლმეურნეობა, ბრიგადა, რგოლი და მეთაობაქოე წარმატებით იბრძვის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. გეგმით გათვალისწინებული 3.800 ათასი ზონარმეტრიდან უკვე შეტეხილი და ანემსილია 1.283.841 ზონარმეტრი.

თაბაბაქოს მოსავლის აღებაში დაწინაურდნენ სოფელ ძირკვაძეების კრუპსკაიას სახელობის, საციხურის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობები. მათ 60-65 პროცენტით გაანაღდეს თამბაქოს შეტეხვისა და ანემსვის წლიური გეგმა.

სოფელ წაბლანას კოლმეურნეობის მერგოლურმა სოციალისტური შრომის გმირმა მ. ბოლქვაძემ ვალდებულება იკისრა მთელი ფართობის თვითეულ ჰექტარზე წელს მოიყვანოს სულ მცირე 25 ცენტნერი თამბაქო.

თამბაქოს უხვ მოსავალს ლუდანაკარგოდ იღებს აგრეთვე სოფელ ღორჯომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეთოთხმეტე ბრიგადა, რომელსაც ხელმძღვანელობს მ. გორგაძე.

მრავალგვიანი სახლები მეშახტეებს

ტყიბული. (საკ. კორ.). ქალაქის ცენტრში, ლენინის ქუჩაზე, ამ დღეებში დამთავრდა სამსართულიანი, კაპიტალური, თვრამეტბინიანი საცხოვრებელი სახლის შშენებლობა. ამ სახლში ბევრმა მეშახტემ მიიღო სამოთახიანი ფართო და ნათელი ბინა. იგი მეცამეტე სახლია, რომელიც მიმდინარე წელს გადაეცა ტყიბულელ მეშახტეებს.

გათვალისწინებულია წლის ბოლომდე დამთავრდეს მშენებლობის პროცესში მყოფი კიდევ ცხრა მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

თბილისის მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივი მეავეჯოგმობილეებთან

ქუთაისი. (საკ. კორ.). თბილისის გ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის კოლექტივი ამ დღეებში ესტუმრა საავტომობილო ქარხანას. მსახიობებმა დაათვალიერეს საწარმოს ძირითადი საამქროები და გაეცნენ ქარხნის განვითარების პერსპექტივებს.

მუშაობის დამთავრების შემდეგ მოეწყო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისა და თეატრის კოლექტივის მეგობრული შეხვედრა. სიტყვებით გამოვიდნენ საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე გ. ჩიხლაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ბერიაშვილი და ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანი რ. ჩიტორელიძე.

სახელდახელოდ მოწყობილ ესტრადაზე გაიმართა კონცერტი მრავალფეროვანი პროგრამით.

ქარხნის კლუბში მეავტომობილეებს უჩვენეს სპექტაკლი „თბილისის ცის ქვეშ“.

შეჯიბრება გრძელდება

მტკიცე, საქმიანი მეგობრობა არსებობს გურჯაანისა და ზესტაფონის რაიონების მევენახეთა შორის. ხუთი წლის წინათ გურჯაანელთა მიმართვას ვენახების მოვლა-დამუშავების გაუმჯობესებისა და ყურძნის მოსავლიანობის გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღების შესახებ ფართოდ გამოეხმაურნენ ზესტაფონელი მევენახეები. გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც ორივე რაიონის მშრომელებმა მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი იკისრეს.

შეუნელებელი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს გურჯაანელი და ზესტაფონელი თანამოძმეები ერთმანეთის ყოველდღიურ საქმიანობას, სისხლსავსე ცხოვრებას. გურჯაანელებს ახარებდა ზესტაფონელთა წარმატებანი მევენახეობის შემდგომი განვითარების საქმეში. მაგრამ არანაკლებ სიხარულს განიცდიდნენ ზესტაფონელები გურჯაანელთა ზვრებში მოყვანილი სარეკორდო მოსავლით.

ამ დღეებში გურჯაანელ მევენახეთა დელეგაცია რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. ზ. ნიბლაძის ხელმძღვანელობით ესტუმრა ზესტაფონს. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ მევენახე სპეციალისტები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბრიგადირები, მერგოლურები, უხვი მოსავლის სახელგანთქმული ოსტატები. მათ გულთბილი შეხვედრა მოუწყეს ზესტაფონელმა მეგობრებმა და დაათვალიერებინეს მუყაითი შრომის ნაყოფი — კარგად მოვლილ-დამუშავებული ვენახები.

სტუმრები პირველად სოფელ ქვემო საჯანოს კოლმეურნეობას ეწვივნენ. აქ მათ ინახულეს მდინარე ძუსას ნაპირებზე გადაჭიმული ვენახები. სტუმრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა კოლმეურნე გერვასი კობახიძის მიერ სანიმშოდ დამუშავებულმა ნაკვეთმა. თვალი ვერ ძღება სიმწიფეში შესული კუმში მტევნების ცქერით. კოლმეურნე კალისტრატე ბრეგვაძისათვის მოსავლად მიჩნეული ნაკვეთის დათვალიერებისას გურჯაანის რაიონის სოფელ კალაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირმა ნასყიდი დემეტრაშვილმა რამდენიმე საქმიანი შენიშვნა მისცა მეგობარს:

გურჯაანელ მევენახეთა დელეგაცია ზესტაფონში

— პირველი ქვედა მავთული დაბლა გაგიბამს, მეგობარო! — მტევნები მიწას ეხება და სინესტისაგან ფუჭდება. — შემდეგ გურჯაანელმა მევენახემ დასძინა: — მაღალი ბალახი მორევია თქვენს ვენახს. კალისტრატემ იგრძნო მეგობრის რჩევის ძალა და განაცხადა: ხვალიდან გამოთიბვას ვაპირებ, მზე მტევანს დახედავს და მარცვალი ჩაშაქრდებაო.

— ვაზი ერთ დაბალ შტამბზეა დაყენებული, უკეთესი იქნებოდა ორ მაღალ შტამბზე დაგაყენებინა, ეს მის დამუშავებასაც გააადვილებდა და მეტ მოსავალსაც მოგცემდაო, — დაუმატა ქ. გურჯაანის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ილო შანთაშვილმა.

— ნათქვამია: სწავლა სიბერემდეო, — 71 წლის კაცი ვარ, ბავშვობიდან ვენახს ვუვლი და თურმე ბევრი რამ კიდევ არ მცოდნია, თქვენს ამხანაგურ დარიგებას უთუოდ მივიღებო, — თქვა მოხუცმა კოლმეურნემ რაფიელ კობახიძემ.

ზესტაფონელი მეგობრებისაგან ბევრი რამ გურჯაანელებსაც დარჩათ სამახსოვრო. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის საცდელ სადგურში ისინი გაეცნენ სადგურის მიერ შემუშავებულ ვაზის დატვირთვისა და გამოკვების ახალ მეთოდებს. მათ ნახეს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სელექციონერ ა. მიროტაძის მიერ გამოყვანილი ყურძნის ახალი შამპანური ჯიში, რომელიც ქართულ ციცქასა და ფრანგული შარდონეს შეჯვარებით მიუღია. ეს ჯიში განკუთვნილია მთიანი რაიონებისათვის, სადაც სიცივის ადრე დადგომის გამო ციცქა დამწიფებას ვერ ასწრებს. ახალი ჯიშის ყურძენი ჩვეულებრივზე ერთი თვით ადრე შემოდის და შამპანურისთვისაც საუკეთესო მასალას იძლევა.

ზესტაფონელებს ერთგვარი კორექტივები შეუტანიათ ვაზის „ცის გახსნის“ ვადებში. რამდენიმე წლის დაკვირვებამ მათ აჩვენა, რომ რქის წვერის ნაადრევად წაწყვეტა ამცირებს მოსავლიანობას და მტევანი ცუდად ვითარდება. ადგილობრივ პირობებში ამ ოპერაციის დაწყების საუკეთესო ვადად დადგენილია 5 აგვისტო. მეცნიერებმა მევენახეებს ასწავლეს მეჩხერიანობის აღმოფხვრის მიზნით გრძელი კორდონის მოწყობა.

გურჯაანელ მევენახეთა მოწონება დაიმსახურა საქართველოს შამპანური კომბინატის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მზრუნველობით დამუშავებულმა ვენახებმა. ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა დომენტი ლოლაძემ სტუმრებს პირობა მისცა, რომ მისი ბრიგადისათვის მოსავლად მიჩნეული ვენახის თვითეულ ჰექტარზე მოკრეფს 90-100 ცენტნერ ყურძენს.

სადილად 84 წლის კოლმეურნის გიორგი კაპანაძის ოჯახში მიგვიწვიეს. შეძლებულ კოლმეურნეს არ გასძნელებია ორმოცდაათამდე კაცის გამასპინძლება. ამერული სტუმართმოყვარეობა, გულუხვობა — აი რა იგრძნობოდა ამ ტკბილი, შრომისმოყვარე ადამიანის დიდ ოჯახში. სამუდამოდ გაქრა გაპირვება, რომელსაც გიორგის ოჯახი რევოლუციამდე განიცდიდა. ექვსთვალიანი წაბლის ოდა. ქვიტკირის მარანი და სხვა დამხმარე ნაგებობანი შნოსა და იერს ჰმატებენ ხელისგულივით გაშლილ ეზოს.

70-ფუთიან ქვევრს მოხადა თავი პაპა გიორგიმ. ჯერ ყველას ჭაშნიკი გაასინჯა, მერე სუფრაზე ჩამოარიგეს ღვინით სავსე სასმისები. გურჯაანელებმა, რამდენიც არ ეცადნენ, მოხუცის დაყენებულ ქარვისფერ ცოლიკოურს წუნი ვერ უპოვნეს.

— ჩვენი მეგობრობა მუდმივი ყოფილიყოს, — დაილოცა მოხუცი, — საქმე ის კი არ არის, თუ ვინ ვის ვაჯობებთ სოციალისტურ შეჯიბრებაში, — მთავარი ის არის, რომ ორივე მაღალი მოსავლისათვის ვიბრძვით. ამაშია თქვენი და ჩვენი გამარჯვება, საერთო გამარჯვება.

მეორე დღეს დელეგაცია სტუმრად იყო სოფელ მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია სოფელ კარდანახის სტალინის სახელობის კოლმეურნეობასთან. სტუმრებმაც და მასპინძლებმაც სურვილი გამოთქვეს კიდევ უფრო გაიფაფხიზონ შეჯიბრება ბრიგადებსა და რგოლებს შორის.

სერგო ღვანაძის მევენახეობის ბრიგადასთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის სურვილი გამოთქვა სოფელ კარდანახის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირმა, უხვი მოსავლის ოსტატმა გუგული მამულაშვილმა, რომელიც იკისრა 19 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 160 ცენტნერი ყურძენი მიიღოს.

აქვე გაფორმეს სოციალისტური შეჯიბრება კოლმეურნეთა სახელით სოფელ გურჯაანის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა აბრამ დავითაშვილმა და მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლევან ჯუღელმა, ზოფელ კალაურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გიორგი ყაჭიაშვილმა და სოფელ ფუთის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ვლადიმერ დუგლაძემ.

გურჯაანელმა მევენახეებმა ოთხ დღეს დაჰყვეს ზესტაფონის რაიონში, სადაც დაათვალიერეს აგრეთვე საქართველოს შამპანური კომბინატის ვაჭევის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, კულტურის ძეგლები, ღირსშესანიშნაობანი. სტუმრებზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივის მუშაობამ. აქ ისინი დაესწრნენ ლითონის დნობისა და ყალიბებში ჩამოსხმის პროცესს.

ზესტაფონელმა მეგობრებმა პირობა მისცე

აგიტატორის დასახმარებლად

ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს მშვიდობიანი კომუნისტური მშენებლობის დიდ პროგრამას. ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების უდიდეს ზრდასთან ერთად წარმატებით ვითარდება სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

ჩვენი ქვეყანა უზრუნველყოფილია პურით. ომამდელ დროსთან შედარებით მნიშვნელოვნად გადიდდა ბამბის, შაქრის ჭარხლისა და მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო დამზადება. თანამედროვე ტექნიკით სოფლის მეურნეობის დიდი აღჭურვილობა ამსუბუქებს კოლმეურნეთა შრომას, უფრო ნაყოფიერს ხდის მას. სოფლის მეურნეობის წარმატებანი უდავოა. მაგრამ სერიოზული შეცდომა იქნება, როგორც აღნიშნა თავის სიტყვაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიაზე ამხანაგმა გ. მ. მალენკოვმა, ვერ ვხედავდეთ სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგების ჩამორჩენას, ვერ ვამჩნევდეთ იმას, რომ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ახლანდელი დონე არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის გაზრდილ ტექნიკურ აღჭურვილობას და საკოლმეურნეო წყობილების შესაძლებლობებს.

დაუცხრომლად ზრუნავენ რა სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარებისა და აღმავლობისათვის, პარტია და მთავრობა ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა უმოკლეს ვადაში აღმოფხვრან სოფლის მეურნეობის დაქვეითება ჩამორჩენილ რაიონებში, უზრუნველყონ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის სწრაფი განვითარება და ამ საფუძველზე მნიშვნელოვნად გაადიდონ შრომადღეებზე ფულის, პურისა და სხვა პროდუქტების გაცემა.

პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ იმას, რომ გაძლიერდეს კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ეკონომიური დაინტერესება სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგების განვითარებით. მიმდინარე წელს დიდდება დასამზადებელი ფასები ხორცის, რძის, მატყლის, კარტოფილისა და ბოსტნეულისა, რომლებსაც კოლმეურნეობები და კოლმეურნეები სახელმწიფოს აბარებენ საავლადებულო ჩაბარების წესით. ფართო მასშტაბით განხორციელდება სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა გადიდებულ ფასებში იმ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებისაგან, რომელნიც საავლადებულო ჩაბარებას შეასრულებენ. ფართოდ გაჩაღდება საკოლმეურნეო ვაჭრობა. კოლმეურნეობებს დახმარებას გაუწევენ იმაში, რომ სოფლის მეურნეობის ნამეტი პროდუქტები გაასაღონ ბაზრებში და სამომხმარებლო კოოპერაციის მეშვეობით.

გაადიდეს რა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებით, პარტიამ და მთავრობამ ამავე დროს განახორციელეს ღონისძიებანი, რათა აემაღლებინათ კოლმეურნეთა შემოსავალი მათი პირადი დამხმარე მეურნეობიდან.

პარტიამ და მთავრობამ გადაწყვიტეს მნიშვნელოვნად შეამცირონ კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობიდან საავლადებულო ჩაბარების ნორმები, შეცვალონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მათი დამხმარე მეურნეობის შემოსავლის დაბეგვრის სისტემა.

კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ეკონომიური წახალისების ღონისძიებების, აგრეთვე საგადასახადო პოლიტიკის დარგში ღონისძიებების განხორციელებით კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა შემოსავალი 1953 წელსვე გადიდდება 13 მილიარდზე მეტი მანეთით, ხოლო მთელ წელიწადზე გაანგარიშებით — 20 მილიარდზე მეტი მანეთით. გარდა ამისა, მიმდინარე წელს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის სახელმწიფოს გათვალისწინებული აქვს ხარჯები როგორც სახელმწიფო ბიუჯეტით, ისე სხვა სახელმწიფო სახსრებიდან — დაახლოებით 52 მილიარდი მანეთის ოდენობით. კოლმეურნეობებს ეძლევათ გრძელვადიანი კრედიტი 3,5 მილიარდი მანეთის ოდენობით. კოლმეურნეობათა საკუთარი კაპიტალური დაბანდებანი საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებისათვის შეადგენს სულ ცოტა 17 მილიარდ მანეთს.

ახალი კანონი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელსაც პარტია და მთავრობა ახორციელებენ სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, კოლმეურნე გლეხობის შემოსავლის გადიდების მიზნით. მნიშვნელოვნად ამცირებს რა გლეხთა და სხვა მოქალაქეთა პირადი დამხმარე მეურნეობის შემოსავლის დაბეგვრას, ახალი კანონი ითვალისწინებს აგრეთვე ამ შემოსავლის დაბეგვრის წესის ძირეულ ცვლილებას.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო თანხა 1953 წლისათვის მცირდება 4.137 მილიონი მანეთით, ანუ 43 პროცენტით, ხოლო მომავალი წლისათვის იგი შემცირდება 2,5-ჯერ და მეტადაც 1952 წელთან შედარებით.

გადასახადის ასეთი შემცირება იმით არის გამოწვეული, რომ სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების არაერთგზის შემცირებას მოჰყვა ფასების მნიშვნელოვანი შემცირება საკოლმეურნეო ბაზარზე. ამასთან დაკავშირებით შემოსავლიანობის ნორმები, რომელთა მიხედვით იანგარიშებოდა ცალკეული სასოფლო-სამეურნეო წყაროების შემოსავალი, აღარ შეესაბამება ფასებში მომხდარ ცვლილებებს.

წინათ მოქმედი კანონის მიხედვით დასაბეგრავად აღირიცხებოდა კოლმეურნეთა და სოფლის სხვა მოსახლეობის შემოსავალი ბოსტნებისაგან, ბაღებისაგან, ვენახებისაგან, პირუტყვისაგან, მეფუტკრეობისაგან, მეაბრეშუმეობისაგან და შემოსავლის სხვა წყაროებისაგან. ეს დიდად ართულებდა შემოსავლის აღრიცხვას და მის დაბეგვრას.

კოლმეურნეებისა და სხვა მოსახლეობის პირადი დამხმარე მეურნეობის შემოსავლის გადასახადით დაბეგვრის ძველი სისტემა უარყოფით შედეგებს იწვევდა სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში. სასოფლო-სამეურნეო გადასახადით სასოფლო-სამეურნეო კულტურების თვითეული სახის, აგრეთვე ბაღებისა და ვენახებისაგან, პირუტყვისაგან მიღებული შემოსავლის დაბეგვრა კოლმეურნეებს სტიმულს არ აძლევდა იმისათვის, რომ საკარმიდამო ნაკვეთებზე გაეშენებინათ ყველაზე ძვირფასი ხეხილი და ბოსტნეული კულტურები, აგრეთვე ერთგვაროვად აღმავრდა მათს დაინტერესებას იმით, რომ შეეძინათ და პირად საკუთრებაში ჰყოლოდათ პირუტყვი, განსაკუთრებით ძროხები.

ახალი კანონის თანახმად, შემოსავალი კოლმეურნეებისა და სხვა მოსახლეობისა, რომელიც სოფლის მეურნეობას მისდევს, დაიბეგრება მტკიცე გაწაკვეთებით მიწის ფართობის მეასედ ჰექტარზე, მიუხედავად იმისა, თუ რა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს უკავია საკარმიდამო ნაკვეთი. ახლა ცალკე აღარ აღირიცხება სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესის, მებაღეობის, მევენახეობის, აგრეთვე პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვისაგან მიღებული შემოსავალი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადით მტკიცე განაკვეთების მიხედვით დაბეგვრა ხელს უწყობს კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის სულადობის გადიდებას, საკარმიდამო ნაკვეთების უკეთ გამოყენებას, უფრო ძვირფასი და კოლმეურნეებისა და სახელმწიფოსათვის უფრო ხელსაყრელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებლად. რაც უფრო მეტ შემოსავალს მიიღებენ კოლმეურნეები თავიანთი დამხმარე მეურნეობისაგან, თავიანთა შემოსავლის მით უფრო ნაკლებს მისცემენ სახელმწიფოს გადასახადის სახით. ახლა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხა დამოკიდებული იქნება მხოლოდ საკარმიდამო ნაკვეთის ოდენობაზე. გადასახადის ოდენობის განსაზღვრის დროს მიწის ნაკვეთის საერთო ფართობს აკლდება მიწა, რომელზეც აგებულია რაიმე შენობა, აგრეთვე აკლდება ბუჩქნარით, ტყით, საზოგადო სარგებლობის გზებით, ხრამებითა და ხევებით დაკავებული მიწები.

კანონით დაწესებულია გადასახადის საშუალო განაკვეთები მოკავშირე რესპუბლიკებისათვის. იმ რესპუბლიკებისათვის, რომელთაც აქვთ სარწყავი და ურწყავი მიწათმოქმედება, გადასახადის განაკვეთები დაწესებულია ცალ-ცალკე სარწყავი და ურწყავი მიწებისათვის.

ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისათვის გადასახადის საშუალო განაკვეთებს აწესებენ ოლქობრივი დაყოფის მქონე მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, ამასთან მხედველობაში იღებენ რესპუბლიკისათვის დაწესებულ საშუალო განაკვეთებს, ცვლილებები — გადიდება ან შემცირება შეიძლება კანონით დაწესებულ ფარგლებში.

გადასახადის განაკვეთებს რაიონებისათვის აწესებენ იმ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, რომელთაც არა აქვთ საოლქო დაყოფა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები რესპუბლიკის, მხარისა და ოლქისათვის დაწესებული გადასახადის საშუალო განაკვეთების მიხედვით. რაიონებისათვის კანონით გათვალისწინებული არ არის განაკვეთების ზღვრული გადახრა ოლქის საშუალო განაკვეთებისაგან. ამიტომ ეს განაკვეთები შეიძლება დაწესდეს სხვადასხვა ოდენობით, მაგრამ ისე კი, რომ აუცილებლად დაცულ იქნას ოლქის, მხარის, რესპუბლიკისათვის დაწესებული გადასახადის საშუალო განაკვეთი. საჭირო შემთხვევებში გადასახადის განაკვეთები ცალკეული სოფლებისათვის შეიძლება დაწესდეს მათი ეკონომიური თავისებურებების მიხედვით.

გადასახადის განაკვეთები ამა თუ იმ ადგილისათვის წესდება იმის გათვალისწინებით, თუ რა სასოფლო-სამეურნეო კულტურებს დასათესად არის გამოყენებული მიწის ნაკვეთი, როგორია მოსავლიანობა, არის თუ არა გასაღების ბაზრები და როგორია შემოსავალი.

პარტიისა და მთავრობის ერთ-ერთი ღონისძიება, რომლის მიზანია მეცხოველეობის განვითარება, არის კოლმეურნეთა, მუშათა და მოსამსახურეთა უძროხო მეურნეობებისათვის გადასახადის თანხის კანონით გათვალისწინებული შეღავათები, რათა ასეთმა მეურნეობებმა უახლოეს ხანში გაიჩინონ ძროხები. 1953 წლისათვის ეს შეღავათი გადასახადის გამოანგარიშებულ თანხაზე გათვალისწინებულია 50 პროცენტის ოდენობით, ხოლო 1954 წლისათვის — 30 პროცენტის ოდენობით. 1955 წლიდან ეს მეურნეობანი დაიბეგრებიან საერთო წესით.

ხელს უწყობს რა კოლმეურნეთა პირად საკუთრებაში მყოფი პირუტყვის სულადობის გადიდებას, აგრეთვე კოლმეურნეების მიერ საკარმიდამო ნაკვეთების უკეთ გამოყენებას, ახალი კანონი ამასთან ემყარება იმას, რომ კოლმეურნეობათა მთავარი ძალაა მათი საზოგადოებრივი მეურნეობა. კოლმეურნეთა პირადი ინტერესები ზუსტად უნდა შეეხამებოდეს კოლმეურნეობის საერთო ინტერესებს. ამიტომ ახალი კანონი ითვალისწინებს, რომ იმ კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის, რომლებშიც ოჯახის ცალკეული წევრები საპატიო მიზეზების უქონლად არ გამოიმუშავებენ შრომადღეებს დაწესებულ მინიმუმს, გადასახადის გამოანგარიშება ხდება 50 პროცენტის გადიდებით. ეს ღონისძიება ხელს შეუწყობს კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას და კოლმეურნეთა შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

კოლმეურნეთა იმ მეურნეობებისათვის, რომელთა ოჯახების ცალკეული შრომისუნარიანი წევრები კოლმეურნეობაში არ იმყოფებიან ან გავიდნენ კოლმეურნეობიდან და დაქირავებულ შრომას არ ეწევიან, სასოფლო-სამეურნეო გადასახადის თანხა დიდდება 75 პროცენტით.

კოლმეურნეთა მეურნეობებს გარდა, სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრებიან აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა და სარეწაო კოოპერაციის არტელების წევრთა მეურნეობანი, რომელთაც მიწის ნაკვეთები აქვთ სოფელ ადგილებში.

კოლმეურნეობის არაწევრ მუშა-მოსამსახურეთა მეურნეობანი და სარეწაო კოოპერაციის არტელების წევრთა, მათ შორის მოხუცებულობის ან ინვალიდობის გამო პენსიაზე გადასულთა მეურნეობანი, რომელთაც მიწის ნაკვეთები აქვთ, გადასახადით იბეგრებიან კოლმეურნეთა მეურნეობებისათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით ისე, რომ დაცულ იქნას კანონით გათვალისწინებული პირობები.

ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი გამოიანგარიშება კოლმეურნეებისათვის დაწესებული განაკვეთების მიხედვით, ამასთან გადასახადის თანხა დიდდება 100 პროცენტით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონში ასახულია პარტიისა და მთავრობის ზრუნვა ომისა და შრომის ინვალიდებისათვის, სამხედრო მოსამსახურეთა და ყოფილ პარტიზანთა ოჯახებისათვის, აგრეთვე სტაქიური უბედურებისაგან დაზარალებული მეურნეობებისათვის.

გადასახადისაგან სავსებით თავისუფლდებიან კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა მეურნეობანი, როცა მამაკაცი 60 წლის და მეტი ხნის არის, ქალი — 55 წლის და მეტი ხნისა, თუ მათ არა ჰყავთ ოჯახის სხვა შრომისუნარიანი წევრები, რომელნიც პირადი შრომით მონაწილეობენ მეურნეობაში. გადასახადისაგან თავისუფლდება სოფლის ინტელიგენცია: ექიმები, მასწავლებლები, აგრონომები და სხვა სპეციალისტები.

მნიშვნელოვანი შეღავათები ეძლევათ ქვანახშირის, ფიქალის და სამთამადნო მრეწველობის საწარმოების მაწისქვეშა სამუშაოებზე მომუშავე მშრომელებს, ხე-ტყის დამამზადებელ და დასაცურებელ საწარმოთა, აგრეთვე ქიმიურ-სატყეო მეურნეობათა მუშაკებს და კოლმეურნეებს, რომელნიც ორგანიზებული შეგროვების წესით მუშაობენ ხე-ტყის დამზადებაზე. კანონით გათვალისწინებულია შეღავათები ახალდასახლებულთა მეურნეობებისთვისაც.

გადასახადის თანხის შემცირებასთან ერთად მიმდინარე წელს სავსებით უქმდება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის წარსული წლების ნარჩენები.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის მიხედვით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს საფინანსო ორგანოების მუშაობაში, მშრომელთა საჩივრებისა და განცხადებების გულმოდგინედ და დროულად განხილვას. საფინანსო მუშაკები მოწოდებული არიან განსაკუთრებული ზრუნვა გამოიჩინონ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონის მტკიცედ და ზუსტად შესრულებისათვის.

კოლმეურნე გლეხობა, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, უდიდესი მოწონებითა და აღფრთოვანებით შეხვდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის გადაწყვეტილებებს. იჩენენ რა უმაგალითო შემოქმედებითს ენერგიას, ქალაქისა და სოფლის მშრომელები იბრძვიან მეხუთე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ჩვენი სამშობლოს ძალისა და ძლიერების გადიდებისათვის.

დ. ბურმისტროვი.

საკოლმეურნეო სოფელში

ჩვენი გაზეთის მკითხველები გვატყობინებენ

ოჩამჩირის რაიონის სოფელ აკვასკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში წარმატებით მიმდინარეობს ციტრუსების და ხეხილის მყნობა. მ. ქუთარბა, ლ. ჯოჯუა, ქ. ჩიტაია, ნ. ქირია და გ. ბუსკაძე დღეში თვითეული ამყნობს 1.500-2.000 ძირ ციტრუსს ნაცვლად ნორმით გათვალისწინებული 500 ძირისა. (ა. ჩიტაია).

ახმეტის მტს-ში საშემოდგომო ხვნაში მრავალი სატრაქტორო ბრიგადა დაწინაურდა. მათ შორის აღსანიშნავია მეშვიდე ბრიგადა (ხელმძღვანელი გ. მამუკელაშვილი), რომელმაც უკვე მოხნა 296 ჰექტარი და მესამე ბრიგადა (ხელმძღვანელი ს. ყაზაროვი), რომელმაც მოხნა 270 ჰექტარზე მეტი ნიადაგი საშემოდგომო ხორბლის დასათესად. (ი. ძიბრიშვილი).

მცხეთის რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში დაიწყო შამპანური ჯიშის ყურძნის პინო-ფრანის შერჩევით კრეფა. საქართველოს შამპანური კომბინატის მუხრანის ღვინის ქარხანა მზად არის ახალი მოსავლის ყურძნის გადასამუშავებლად. (ი. აბულაძე).

შუახევის რაიონის კოლმეურნეობებში წელს ყურძნის მოსავალს კარგი პირი უჩანს. სოფელ ჭვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის რგოლს, რომელსაც ზ. ამალლობელი ხელმძღვანელობს, სანიმუშოდ აქვს მოვლილი 3,4 ჰექტარი ვენახი. რგოლი წელს ჰექტარზე მოელის უნგ მოსავალს — 120 ცენტნერ ყურძენს. (მ. ლომაძე).

ხაშურის რაიონის სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა კარგად ემზადება შაქრის ჭარხლის მოსავლის ასაღებად. დაწინაურდა ის ბრიგადა, რომელსაც ბ. ბარათაშვილი ხელმძღვანელობს. ბრიგადამ 11,5 ჰექტარი პლანტაცია საუკეთესო სანახავია.

ამას წინათ ვაყის კოლმეურნეობამ აგარის შაქრის ქარხნიდან ავანსად მიიღო ერთი ტონა შაქარი და 12 ათასი მანეთი. (დ. ფარემუზოვი).

თელავის რაიონის სოფელ სიმონეთის ანდრეევისა და კლდიაშვილის სახელობის კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმები. (ვ. რობაქიძე).

ტყიბულის რაიონის ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თ. რიყემაძის რგოლმა წლიური გეგმის გადამეტებით მოკრიფა 900 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ჩაის კრეფის წლიური დავალებები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს კოლმეურნეებმა რ. ფანჩულიძემ, ა. რიყემაძემ, ნ. ცირეკიძემ. (ნ. ჯინჯიხაძე).

აბაშის რაიონის ზანათის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო გერანის მწვანე მასის აჭრა. აბაშის ეთერზეთის ქარხანა უკვე შეუდგა გერანის ნედლეულიდან ზეთის გამოხდას. (ი. თოდუფარია).

ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ქვემოჩხოროწყუს კოლმეურნეობა „ლენინის დროშამ“ გეგმით გათვალისწინებული 123 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 129,8 ტონა ჩაის ფოთოლი და ახლა იბრძვის იმისათვის, რომ დამატებით მისცეს მრეწველობას 30 ტონა ჩაის ნედლეული. (ჟ. გოგუშა).

წალენჯიხის რაიონის სოფელ ნაკიფუს სტალინის სახელობის, სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობებმა და სოფელ ობუჯის კოლმეურნეობა „კოლხიდამ“ დიდი გადამეტებით შეასრულეს ეკვალიპტის გაშენების წლიური გეგმები. (ა. მიქაია).

გამოუქვეყნებელი წერილების

კვალდაკვალ

მეჯი ელექტროენერგია კოლმეურნეობებს

რედაქციაში შემოვიდა წერილი სათაურით „უყურადღებობა თუ დაუდევრობა“. წერილის ავტორი გვატყობინებდა, რომ ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრთა ოჯახებს და სოფლის ცენტრს ელექტროენერგიას აწვდის ბობოყვათპესი, მაგრამ იგი მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებს.

ეს წერილი ზომების მისაღებად გადაეგზავნა ქობულეთის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, რომელიც გვატყობინებს:

ბობოყვათპესი ელექტროენერგიას აწვდიდა ვოროშილოვისა და მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობებს. სადგურმა ვერ დააკმაყოფილა საკოლმეურნეო სოფლების, კოლმეურნეების გაზრდილი მოთხოვნილება. ამიტომ იგი მთლიანად გადაეცა ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობას. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა კი ჩართული იქნება „საქენერგოს“ სისტემაში.

ამჟამად მიმდინარეობს ბობოყვათპესის რეკონსტრუქცია იმ ანგარიშით, რომ ელექტროენერგიით დაკმაყოფილდეს მთელი სოფლის მოთხოვნილება.

სისუფთავეს არ იცავდნენ...

ჩვენი გაზეთის მკითხველები გვატყობინებდნენ, რომ ალ. ჭავჭავაძის ქუჩის ბრლოში მოთავსებულ კვებვაჭრობის სავაჭრო წერტილი (მაღაზია № 6-ის ფილიალი) გამეფებულია ანტისანიტარია, კვების პროდუქტებს ბუზები ახვევია, წერტილის მუშაკები კი სანიტარული წესრიგის დამყარებისათვის არ ზრუნავენ.

მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის დირექტორი ამბ. ლეონავა გვატყობინებს, რომ წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. ფილიალის გამგეს ი. ჭყოიძესა და გამყიდველ შ. პასიკაშვილს საყვედური გამოეცხადათ.

იაღბუზის კეთილმოწყობისათვის

ჩვენი გაზეთის მკითხველი ვ. გვალია გვწერდა, რომ ქლუხორის რაიონის სოფელი იალბუზი, რომელიც საკურორტო ადგილად ითვლება, მოუწყობელია.

წერილი სათანადო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტთა მთავარ სამმართველოს.

წელს იალბუზის კეთილმოწყობისათვის გადაიდო 70 ათასი მანეთი; შეკეთებულ და აღდგენილ იქნება ყოფილი დისპანსერის შენობა. მომავალ წელს აღდგენილ იქნება სხვა ნაგებობებიც, გაძლიერდება კეთილმოწყობის სამუშაოები.

გასული საუკუნის სამოცდაათიან-ოთხმოციან წლებში დიდი რუსი მწერალი ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოი თითქმის ყოველ ზაფხულს ატარებდა პატარა მამულში — სამარის გუბერნიის ყოფილ ბუზულუკის მაზრაში. „არა მგონია იყოს რუსეთში სხვა ადგილი, სადაც ხალხის კეთილდღეობა და უბედურება ისე უშუალოდ დამოკიდებული იყოს მოსავლისა თუ მოუსავლიანობაზე, როგორც სამარის გუბერნიაში“,—წერდა ამ ადგილების შესახებ ტოლსტოი.

1872-74 წლებში ვოლგისგაღმა მხარეში მძვინვარებდა საშინელი შიმშილობა, რომლის მოწმე იყო დიდი მწერალი.

ლ. ნ. ტოლსტოიმ თვითონ შემოიარა დამშეული სოფლები გავრილოვკა, პეტროვკა, ზემლიანკი და სხვ. დიდმა მწერალმა „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ გამომცემლებს მიმართა წერილით „სამარაში შიმშილობის შესახებ“. ეს მრისხანე მხილება, რომელიც მიმართული იყო რუსეთის საზოგადოებრიობისადმი, იმის ბიძგი გახდა, რომ ყველგან დაეწყოთ დახმარების შეგროვება ვოლგისგაღმა მხარის დამშეულთათვის.

ახლა ამ ადგილებს ვეღარ იცნობ. ბედნიერად, შეძლებულად ცხოვრობენ მშრომელნი ვოლგისგაღმა მხარეში, მათ შორის კოლმეურნენი კუიბიშევის ოლქის ალექსეევკის რაიონში, სადაც ტოლსტოი ყოფილა ხოლმე. ამ ადგილების ახალგაზრდობას თავის წინაპართა შიმშილზე, მძიმე ჩვენრსა და გაჭირვებაზე წარმოდგენა აქვს მხოლოდ მოხუცთა ნაამბობით, წიგნებით და მუზეუმის ექსპონატებით.

სურათზე: გავრილოვკის სკოლის მოსწავლენი სტუმრად 82 წლის ეგორ პანტელეის-ძე ფროლოვთან, რომელსაც კარგად ახსოვს ლ. ნ. ტოლსტოი. ბევრ საინტერესოს და საბჭოთა მოსწავლეებისათვის არაჩვეულებრივს უამბობს მათ ეგორ პანტელეის-ძე.

ფოტო ს. კროპივნიცკისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავისათვის

მოსკოვი. მშრომელები ფართოდ აღნიშნავენ ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავს. დედაქალაქის საწარმოთა და მშენებლობათა კლუბებსა და კულტურის სასახლეებში გახსნილია წიგნის გამოფენები, ეწყობა ლექციები და მოხსენებები დიდი რუსი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ვლადიმერ ილიას-ძის სახელობის ქარხნის საამქროებში გაიმართა საუბრები ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. საწარმოს 50 მუშაკმა მოაწყო ექსკურსია იასნაია პოლიანის მუზეუმ-კარმიდამოში.

ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მუშაკებს მთელი რიგი წლების მანძილზე მჭიდრო ურთიერთობა აქვთ მოსკოვის გორკის სახელობის სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობებთან. ჩარხმშენებლებმა თეატრის სცენაზე ნახეს „ანა კარენინა“, „აღდგომა“, „განათლების ნაყოფი“. ქარხანაში ბევრჯერ უჩვენებიათ ლ. ნ. ტოლსტოის პიესების ნაწყვეტები. ამ დღეებში საამქროების წითელ კუთხეებში ქარხნის ასობით მუშაკმა დიდი ინტერესით მოისმინა ლიტერატურული მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა ლექციები: „ლ. ნ. ტოლსტოის ცხოვრება და შემოქმედება“.

მეტრომშენის კულტურის სასახლეში მოეწყო ლ. ნ. ტოლსტოის ნაწარმოებთა და მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ლიტერატურის გამოფენა. ლ. ნ. ტოლსტოისადმი მიძღვნილი გამოფენები მოეწყო აგრეთვე № 8 მშენებლობაზე, № 5 და № 8 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებში.

იუბილეს დღეებში მეტრომშენის შახტებისა და საწარმოების წითელ კუთხეებში გაიმართება ლ. ნ. ტოლსტოისადმი მიძღვნილი საღამოები.

8 სექტემბერს ისტორიის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში გაიხსნა ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. აქ წარმოდგენილია დიდი რუსი მწერლის ნაწარმოებთა სხვადასხვა გამოცემა, ლიტერატურა მის შესახებ, ილუსტრაციები.

* * *

კიშინიოვი. მოლდავეთის საზოგადოებრიობა ფართოდ აღნიშნავს ლ. ნ. ტოლსტოის დაბადების 125 წლისთავს.

დიდი მწერალი ორჯერ იყო კიშინიოვში. 1854 წლის იანვარში ლ. ნ. ტოლსტოიმ მიიღო დანიშვნა დუნაის არმიაში, ხოლო გაზაფხულზე გაემგზავრა იქ იასნაია პოლიანიდან. იმავე წლის აპრილ-მაისში, ასრულებდა რა საარტილერიო სამმართველოს დავალებას, მწერალი იყო მოლდავეთში, ვლახეთსა და ბესარაბიაში. სამი თვის შემდეგ ტოლსტოი კორპუსთან ერთად გადავიდა რუსეთის საზღვარზე პრუტთან.

მოლდავეთში მწერალმა დაამთავრა მუშაობა „ყრმობის“ ხელნაწერზე და მოთხრობაზე „ფეიერვერკერის დღიურები“ („ტყის ჩეხვა“).

რესპუბლიკის მშრომელებმა შესაძლებლობა მიიღეს გენიალური მწერლის ნაწარმოებნი წაეკითხათ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს. ომისშემდგომ წლებში მოლდავურ ენაზე გამოიცა „ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“, „კაზაკები“, მოთხრობები, ზღაპრები და სხვა ნაწარმოებნი, რომელთა საერთო ტირაჟი ასი ათას ცალს აღემატება.

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩომ მოსკოვში დარბაზობა გამართა

ამა წლის 8 სექტემბერს ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა ვ. ველკოვმა ეროვნული დღესასწაულის — თავისუფლების დღის გამო დარბაზობა გამართა.

დარბაზობაზე იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. მ. პუზანოვი, სსრ კავშირის მინისტრები მ. გ. პერვუხინი, პ. კ. პონომარენკო, ა. ნ. კოსიგინი, ზ. ა. შაშკოვი, ა. თ. ტრეტიაკოვი, ნ. ა. დიგაი, ს. მ. ტიხომირნოვი, კ. პ. გორშენინი, პ. ა. იუდინი, გ. მ. ორლოვი, რუსეთის სფსრ განათლების მინისტრი ი. ა. კაიროვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ვ. ა. ზორინი, ს. ა. ბორისოვი, ს. ვ. კაფტანოვი, ნ. ნ. ბესპალოვი, ვ. გ. ჟავორონკოვი, კ. ი. კოვალი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, ავიაციის მარშალი ს. ფ. ჟავორონკოვი, ადმირალი გ. ი. ლევჩენკო, გენერალ-პოლკოვნიკი ა. ს. ჟადოვი, გენერალ-ლეიტენანტები მ. ა. შალინი, ს. ს. შატილოვი, გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, საელჩოებისა და მისიების მეთაურები, რომლებიც აკრედიტებული არიან მოსკოვში, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწეები. (საკდესი).

თბილისიდან გაემგზავრა ჩეხოსლოვაკ მეცნიერთა დელეგაცია

გუშინ თბილისიდან სუხუმს გაფრინდა ჩეხოსლოვაკ მეცნიერთა დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში არიან ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორი, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მიწათმოქმედების სამინისტროს ვეტერინარიის სამმართველოს გამგე ა. გროზტკა, აკადემიკოსი ი. ბრაუნერი, ვეტერინარიის მეცნიერებათა დოქტორები კ. რაშჩინი, ა. იანჩეკი და ქალაქ პრაღის სოფლის მეურნეობის ცენტრალური საკონტროლო და გამოსაცდელი ინსტიტუტის პასუხისმგებელი მუშაკი ვ. სადომეკი. თბილისში სტუმრები გაეცნენ საქართველოს ვეტერინარიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მუშაობას, იყვნენ ტაბახმელის ბიოკომბინატში და საქართველო

წერილები რედაქციას

მეჯი საკვები საზოგადოებრივ მეცხოველეობას

მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შუალედი კულტურების თესვას, რაც წლიურად ორი მოსავლის მიღების საშუალებას იძლევა.

თამბაქოსა და წეკოს საკავშირო ინსტიტუტის ლაგოდეხის საცდელმა სადგურმა გამოარკვია, რომ თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ ცერცველა საუკეთესო წინამორბედია თამბაქოსა და სხვა სათოხნი კულტურებისათვის, რადგან შემოდგომა-ზამთრის პერიოდში იძლევა დიდძალ მასას პირუტყვისათვის, საგრძნობლად აუმჯობესებს ნიადაგის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებს.

ცერცველას თესვა წარმოებს როგორც ქერთან, ისე ჭვავსა და შვრიასთან შერევით, რომლებიც მის საყრდენს წარმოადგენენ. სუფთად დათესილი ცერცველა წვება, ტენიან პირობებში ლპება და მისი აღება ძნელდება.

ლაგოდეხის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში 1952 წლის შემოდგომაზე დათესა გარეული ცერცველა ქერთან შერევით იმ ნაკვეთებზე, რომლებიც განკუთვნილი იყო მომავალი წლის გაზაფხულზე სათოხნი კულტურებისათვის (თამბაქო, სიმინდი და სხვ.). შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში ნათესი კარგად განვითარდა და აღრე გაზაფხულზე (აპრილი) კოლმეურნეობებმა ჰექტარზე 250-350 ცენტნერი მწვანე მასა ანუ 50-60 ცენტნერი თივა მიიღეს. ცერცველას აღების შემდეგ განთავისუფლებულ ნაკვეთებზე დაირგო თამბაქო, ზოგან დათესა სიმინდი.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ცერცველას ოესვას ქერსა და შვრიასთან შერევით იმ რაიონებში, რომლებიც ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ნაკლებობას განიცდიან. იმ კოლმეურნეობებში, სადაც კულტურული ცერცველას თესლი საკმარისი როდენობით არ მოიპოვება, ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ გარეული ცერცველას თესლი, რომელიც ბლომად არის ხორბლის ნათესებში ლაგოდეხის, ყვარლის, გურჯაანის და სხვა რაიონებში. ამ თესლის გამოყოფა ხდება ხორბლის გაწმენდის დროს.

ცერცველას თესვა ქერთან ან შვრიასთან შერევით წარმოებს თავთავიანი კულტურებისაგან განთავისუფლებულ იმ ნაკვეთებზე, რომლებიც განკუთვნილია მომავალი წლის გაზაფხულზე სათოხნი კულტურებისთვის (თამბაქო, სიმინდი და სხვ.).

ცერცველა ტენის მოყვარული მცენარეა. ამიტომ მის დასათესად უნდა შევარჩიოთ ტენით საკმაოდ მდიდარი ნაკვეთები. ხორბლის აღებისთანავე საჭიროა ნაწვერალის აჩეჩვა 4-5 სანტიმეტრ სიღრმეზე სარეველების მასობრივად აღმოცენების შემდეგ, მაგრამ ცერცველას თესვამდე არაუგვიანეს 20-25 დღისა. ნაკვეთი იხვნება 22-25 სანტიმეტრ სიღრმეზე და იფარცხება. ცერცველას თესვის წინ საჭიროა ხნულის კულტივაცია.

მოხვნის წინ ნიადაგში შეაქვთ მინერალური სასუქები შემდეგი რაოდენობით: თვითეულ ჰექტარზე 2-3 ცენტნერი სუპერფოსფატი და 1-1,5 ცენტნერი კალიუმის მარილი. აზოტიანი სასუქი შეგვაქვს თესვის წინ ან თესვასთან ერთდროულად ჰექტარზე 0,75-1 ცენტნერის რაოდენობით. ცერცველას თესლი საჭირო სიღრმეზე რომ მოთავსდეს და თანაბრად აღმოცენდეს, ამისათვის აუცილებელია ნიადაგს კარგად დამუშავება და გოროხების დაშლა.

ცდებისა და დაკვირვების საფუძველზე, ცერცველას თესვის საუკეთესო ვადად ითვლება პერიოდი 15 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე. მაგრამ უმჯობესია ცერცველას თესვა დავამთავროთ 1 ოქტომბრამდე. ამ დროს დათესილი ცერცველა კარგად ვითარდება და აღრე გაზაფხულზე იძლევა მოსავალს. იგი ითესება ქერთან ან შვრიასთან შერევით შეფარდებით 3:1 (100-120 კილოგრამი ცერცველა 30-40 კილოგრამ ქერთან).

რადგან ქერი და შვრია ცერცველას საყრდენებს წარმოადგენენ, საჭიროა მათი თესლი წინასწარ კარგად შეირჩეს ცერცველას თესლთან ერთად, რათა ისინი თანაბრად განაწილდნენ მთელ ფართობზე. თესვა უნდა ვაწარმოოთ ხორბლის მწკრივად სათესი მანქანებით.

ცერცველას ნათესის მოვლა სერიოზულ ყურადღებას მოითხოვს. თებერვლის ბოლოს, როცა ამინდი ამის საშუალებას იძლევა, დამატებითი გამოკვების წესით თვითეულ ჰექტარზე უნდა შევიტანოთ ერთი ცენტნერი სულფატამონიუმი და ამის შემდეგ ნაკვეთები დავფარცხოთ.

სექტემბრის ბოლოს დათესილი ცერცველას მოსავლის თანდათანობით აღება შეიძლება 10 აპრილიდან მწვანე საკვებად გამოყენების მიზნით, ხოლო ძირითადი თიბვა და ნაკვეთების განთავისუფლება წარმოებს მისი ყვავილობის პერიოდში (მაისის პირველ დეკადაში), იმ ვარაუდით, რომ არ დაბრკოლდეს ძირითადი კულტურისათვის ნიადაგის მომზადება და თესვა. ნათესიდან ნაკვეთებს განთავისუფლებისთანავე ნიადაგის დამუშავება ხდება იმ კულტურათა აგროწესების თანახმად, რომლებიც ირგვება ან ითესება ამ ნაკვეთებზე.

ცერცველასაგან განთავისუფლებული ნაკვეთები უნდა გამოვიყენოთ მარტო სათოხნი კულტურებისათვის და მხოლოდ ამ კულტურების აღების შემდეგ დავთესოთ თავთავიანი კულტურები.

ა. ცინცაძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.



რიწის ტბის ხედი.
ფოტო გ. ვახტანგაძისა.

რომანი „ლენინ“ ჩუვაშურ ენაზე

ჩუვაშეთის ასსრ სახელმწიფო გამომცემლობამ ჩუვაშურ ენაზე ცალკე წიგნად გამოსცა ქართველი მწერლის სტალინური პრემიის ლაურეატის ა. ჭეიშვილის რომანი „ლენინ“.

რომანი რუსულიდან თარგმნა ახალგაზრდა ჩუვაშმა პოეტმა ნ. ალექსანდროვმა. რედაქტორობა ახალგაზრდა ჩუვაშელ პოეტი ვ. ალენდეევი.

წიგნი შეიცავს 344 გვერდს, ტირაჟი 3.000 ცალი, გარეკანი ფერადებით არის გაფორმებული.

გ. პეტროვი.
ქ. ჩებოქსარი, ჩუვაშეთის ასსრ.

ლვოვის თეატრის უკანასკნელი პრემიერა

ლვოვის მუსიკალური კომედიის თეატრმა, რომელიც უკვე მეორე თვეა გამოდის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საზაფხულო თეატრში, მაყურებელს უჩვენა უკანასკნელი პრემიერა თბილისში ჩამოტანილი თავისი რეპერტუარიდან — კ. კორჩმარევის „დაღვრილი ფიალა“.

ამ მუსიკალური კომედიის ლიბრეტო გაკეთა საბჭოთა ავტორმა ა. გლობამ ჩინელი კლასიკოსის ვან ში-ფუს პიესის მიხედვით.

„დაღვრილი ფიალა“ დადგა რეჟისორმა ი. გრინშპუნმა, დეკორაციები ეკუთვნის მხატვარ ფ. ნიროდს, დირიჟორია კ. ბენცი. მთავარ როლებს ასრულებენ ზ. დეხტიარევა (ინ-ინ), ი. დინოვი (ჯან-გუნი), მ. დემინა (ხუნ-იანი) და მ. ვოდიანოი (ფა-ცუნი).

სპექტაკლს წარმატება ხვდა.

მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში გაიხსნა სეზონი

8 სექტემბერს მოზარდ მაყურებელთა რუსულ თეატრში სეზონი გაიხსნა ახალი სპექტაკლით — ვ. გუბარევის პიესა „პაველ მოროზოვით“. პიესა დადგეს რეჟისორმა მ. გიჟიმყრელმა და მხატვარმა დ. ნოდიამ. მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა ვ. ბეიერმა.

სპექტაკლში როლებს ასრულებენ დამსახურებული არტისტები მ. ბუბუტეიშვილი, ჩ. კიროვა, მსახიობები გ. მალიშევა, ზ. ლავროვა, ნ. გლობენკო, ლ. რომანოვი, ა. ენგელგარდტი, მ. მინეევი და სხვ.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ბიბლიოთეკა

სასარგებლო წიგნი დიდ რუს მხედართმთავრებზე

დიდი რუსი ხალხი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე გმირულ ბრძოლებს ეწეოდა სხვადასხვა უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ველის მომთაბარე ტომები, გერმანელი და შვედი კოლონიზატორები, პოლონელი პანები, თურქი მოძალადეები, ნაპოლეონის ურდოები, რომლებიც სხვადასხვა დროს რუსეთის ტერიტორიისა და ხალხების დაპყრობას ცდილობდნენ, საკადრის პასუხს იღებდნენ რუსი ხალხის ერთსულოვანი, შეუპოვარი და გმირული წინააღმდეგობის შედეგად.

სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დიდმა რუსმა ხალხმა გამოიმუშავა თავისი ეროვნული სამხედრო ხელოვნება, წარმოშვა დიდი ეროვნული გმირები და სახელგანთქმული მხედართმთავრები, რომლებმაც რუსულ იარაღს მსოფლიო დიდება მოუპოვეს. რუსეთის იმ გამოჩენილ მხედართმთავართა საუკეთესო წარმომადგენლები არიან ალექსანდრე ნეველი, დიმიტრი დონსკოი, კუზმა მინინი და დიმიტრი პოჟარსკი, ალექსანდრე სუვოროვი და მიხეილ კუტუზოვი.

1941 წლის 7 ნოემბერს, ჩვენი სამშობლოსათვის მრისხანე განსაცდელის ჟამს, გერმანელ ფაშისტთა ურდოების წინააღმდეგ გმირულად მებრძოლ საბჭოთა მეომრებს ი. ბ. სტალინმა ასე მიმართა: „დაე ამ ომში თქვენ აღგაფრთოვნებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე!“

დიდი სტალინის ამ შთამაგონებელი სიტყვებით იხსნება აკაკი სურგულაძის ნარკვევების კრებული „დიდი რუსი მხედართმთავრები“, რომელიც ამას წინათ გამოსცა საბლიტგამმა.

დიდი რუსი მხედართმთავრების შესახებ რუსულ ენაზე მდიდარი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ქართულად დღემდე ამ თემაზე არაფერი გვქონია. საბლიტგამმა აღნიშნული წიგნის გამოცემით უსათუოდ სასარგებლო საქმე გააკეთა.

წიგნი აშუქებს ზემოთ დასახელებული ექვსი მხედართმთავრის ცხოვრებას, მათს სამხედრო, სახელმწიფოებრივ და დიპლომატიურ მოღვაწეობას. მასში აგრეთვე ფართოდ არის დახასიათებული ის ეპოქა, რომელშიც თვითეული მათგანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. წიგნის დადებით მხარედ უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი რუსეთის სახელმწიფოებრივი ცხოვრების განვითარების ყველა მთავარი ეტაპი. აქ დახასიათებულია კიევის ცენტრალიზებული სახელმწიფო, მისი დაშლა ცალკეულ ფეოდალურ სამთავროებად, მოსკოვის სამთავროების გაძლიერება, მოსკოვის ცენტრალიზებული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, გლეხთა რევოლუცია XVII საუკუნის დასაწყისში და ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ, პეტრე პირველის ღონისძიებანი, თავადაზნაურული დიქტატურა XVIII საუკუნეში და სხვ. რუსეთის ისტორიის ამ საკვანძო საკითხებს ავტორი განიხილავს თვითეული მხედართმთავრის მოღვაწეობასთან მჭიდრო კავშირში.

ალექსანდრე ნეველის სამხედრო და დიპლომატიური მოღვაწეობის დახასიათებისას ნარკვევში ყურადღება გამახვილებულია იმ მთავარ საფრთხეზე, რომელიც რუს ხალხს ჩრდილოდასავლეთი მხრიდან ემუქრებოდა. ავტორი, განიხილავს რა ნევასა და ჩუდის ტბასთან ალექსანდრე ნეველის მიერ გადახდილ ბრძოლებს, რომლებმაც გერმანელი ქოფაკი რაინდებისა და შვედი კოლონიზატორების გეგმები დაამსხვრია, სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ ალექსანდრე ნეველის მიერ გადახდილი ბრძოლები მსოფლიო სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ბრწყინვალე ფურცლებს წარმოადგენენ.

დიმიტრი დონსკოისადმი მიძღვნილ თავში ა. სურგულაძე არკვევს იმ პროცესებს, რომლებმაც ხელი შეუწყო მოსკოვის სამთავროს ამაღლებას. ავტორი კარგად აშუქებს დაქუცმაცებული რუსეთის გაერთიანებისა და მთავართა შორის შუღლის და შინაომების აღკვეთის საქმეში მოსკოვის როლის საკითხს. დიმიტრი დონსკოის სახით ავტორი გვიჩვენებს ცენტრალიზებული სახელმწიფოსათვის მებრძოლ პიროვნებას, რომელმაც, დათრგუნა რა ტვერის, ნოვგოროდის, რიაზანის, ნიჟნი ნოვგოროდის ბოიართა წინააღმდეგობა, შეძლო მოსკოვის გარშემო შემოკრებილი ძალების წარმართვა მრისხანე დამპყრობლის მამაის წინააღმდეგ და ამით რუს ხალხს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება მოუპოვა.

ნარკვევში „კუზმა მინინი და დიმიტრი პოჟარსკი“ ვრცლად არის დახასიათებული ის მეტად რთული ვითარება, რომელიც მოსკოვის სახელმწიფოში შეიქმნა XVII საუკუნის დასაწყისში. ავტორი სათანადო ადგილს უთმობს ფეოდალურ საზოგადოებაში კლასობრივი ბრძოლის გამწვავების ფაქტებს და იძლევა მის გამომშვები მიზეზების დამაჯერებელ ახსნას. აქვე დაწერილებით არის განხილული სახალხო ლაშქრის შექმნის ისტორია, პოლონელთაგან მოსკოვის განთავისუფლებისათვის წარმოებული გმირული ბრძოლები, მინინისა და პოჟარსკის მამაცური, პატრიოტული საქმეები. მინინისა და პოჟარსკის მხედართმთავრული მოღვაწეობის შეფასებაში ამჰ. სურგულაძე ამხილებს რუსეთის თავადაზნაურულ და ბურჟუაზიულ ისტორიოსოთა დამახინჯებებს და დასკვნის: „კუზმა მინინი და დიმიტრი პოჟარსკი იყვნენ არა მეფის, არამედ რუსი ხალხის ინტერესთა საუკეთესო დამცველები. ისინი სათავეში ჩაუდგნენ რუსი ხალხის გმირულ ბრძოლას უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ისინი იყვნენ XVII საუკუნის პირველ ნახევარში რუსი ხალხის სამამულო ომის, სახალხო ომის დიდი ორგანიზატორები“ (გვ. 172).

სუვოროვისა და კუტუზოვისადმი მიძღვნილ ნარკვევებში ავტორი ფაქტიურ მასალებზე დაყრდნობით ასაბუთებს რუსული ეროვნული სამხედრო სკოლის უპირატესობას დასავლეთ ევროპის სამხედრო სკოლების წინაშე, გადმოგვცემს რუსი ჯარისკაცის მაღალ საბრძოლო თვისებებს. სუვოროვი და კუტუზოვი, რომელთა მხედართმთავრული მოღვაწეობის დამცირებასა და მიფუჩეჩებას ყოველნაირად ცდილობდნენ ეს ცდილობენ ჩვენი დიდი სამშობლოს მტრები, აქ, ნარკვევში, მოჩანან როგორც თავისი ეპოქის სწორუპოვარი სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწენი. სუვოროვმა მოიგო ყველა ბრძოლა, შექმნა აღზრდის ახალი სისტემა და უჭკნობი დიდებით შემოსა რუსული იარაღი, ხოლო კუტუზოვმა დაამარცხა ბურჟუაზიული ევროპის ყველაზე სახელმოხვეჭილი მხედართმთავარი ნაპოლეონი და იხსნა რუსეთი ფრანგთა მონობის უღლისაგან.

წიგნს ნაკლოვანი მხარეებიც აქვს. თუ ნეველის, მინინის, პოჟარსკის და დონსკოის მხედართმთავრული მოღვაწეობის განხილვისას ნაშრომში იგრძნობა კომპოზიციური მთლიანობა, სუვოროვისა და კუტუზოვის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დახასიათებისას, ეს მთლიანობა დარღვეულია. სუვოროვისა და კუტუზოვის ეპოქა წიგნში მკრთალად არის წარმოდგენილი.

წიგნში არის ფაქტიური შეცდომებიც. მაგალითად, 120-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „მანვე (იგულისხმება ბორის გოდუნოვი **დ. კ.**) განაახლა საომარი მოქმედება შვედებთან 1591-1593 წლებში“, ნამდვილად კი რუსეთსა და შვეციას შორის საომარი მოქმედება 1593-1595 წლებში იყო.

ნარკვევი დაწერილია კარგი ქართული ენით, მაგრამ ალაგ-ალაგ დაზღვეული არ არის სტილისტური და ორთოგრაფიული შეცდომებისაგან. გაუგებარია წინადადება: „განთავისუფლების საფუძველს თითქოს კუტუზოვის პირადი ხხოვნა შეადგენდა, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო კუტუზოვის გადაყენება იმპერატორის მიერ, რომელსაც არ მოსწონდა სახელმოხვეჭილი გენერლის მშვიდი დამოკიდებულება პოლიციისადმი“ (გვ. 221). მკითხველი ვერ გაერკვევა რას ნიშნავს ეს მშვიდი დამოკიდებულება.

წიგნს ახლავს ტექნიკური ნაკლიც. ცალკეული თავები ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ არ არის გამოყოფილი.

ა. სურგულაძის აღნიშნული ნაშრომი ჩვენი ახალგაზრდობისათვის საჭირო და სასარგებლო წიგნია.

დ. კაკაბაძე.

რაჯომ ვერ ვუნევთ მომხმარებლებს წესიერ მომსახურებას

გასტრონომიული მაღაზია № 19 დედაქალაქის ცენტრალურ ადგილას — ლენინის ქუჩაზე მდებარეობს და, ცხადია, ვაჭრობაც დიდი აქვს. მაგრამ თვითონ ჩვენ, მაღაზიის მუშაკები, ვგრძნობთ, რომ მომხმარებელს წესიერ მომსახურებას ვერ ვუწევთ. საყვედურებიც ხშირად გვესმის. აბა ვისთვის არის სასიამოვნო ზაფხულის პაპანაქება სიცხეში შესვას გაუცივებელი ლიმონათი, ლუდი, იყიდოს თბილი ღვინო, მინერალური წყლები!

რაშია საქმე, რა იწვევს ამას?

მაღაზიამ შარშან ორი მაცივარდანადგარი შეიძინა, მაგრამ ერთი მათგანი დღიდან დადგმისა აღარ მოქმედებს, ხოლო მეორის მუშაობა, რომ იტყვიან, ცოდვის კითხვა იყო. მალე მანაც შეწყვიტა სიცივის მოცემა. არაერთხელ მივმართეთ „გლავტორგობორუდოვანიეს“ თბილისის სარემონტო-სამონტაჟო კომბინატს (დირექტორი ამხ. გონგლაძე). იგი, ხელშეკრულების თანახმად, მოვალე იყო შეეკეთებინა მაცივარი. როგორც იყო, ივლისის ბოლო რაცხვებში შეგვიკეთეს ერთი კომპრესორი. მაგრამ ვაი ასეთ შეკეთებას!—მეორე დღესვე შეწყვიტა მოქმედება. ოთხჯერ-ხუთჯერ დაგვჭირდა ხვეწნა-მუდარა, ოთხჯერ-ხუთჯერ კიდევ „შეგვიკეთეს“ მაცივარი, მაგრამ ამან სასურველი შედეგი არ მოგვცა. ამ „შეკეთებებში“ მაღაზიამ 1.872 მანეთი და 60 კაპიკი გადაიხადა, მაცივარი კი მთელი ზაფხულის განმავლობაში პროდუქტებს აღარ გვიცავებს. ასევე მწყობრიდან გამოვიდა ერთი მაცივარი კარადა. მთელი აგვისტოს განმავლობაში იგი უქმად იყო, რადგან ეხეიროდ შეაკეთეს კომბინატის სახელოსნოში. ამრიგად, ასეთი დიდი მაღაზია ერთი პატარა მაცივარი კარადის ანაბარაა დარჩენილი, რომელიც, ცხადია, სრულიად ვერ აკმაყოფილებს ჩვენს გაზრდილ მოთხოვნილებას.

„გლავტორგობორუდოვანიეს“ თბილისის სარემონტო-სამონტაჟო კომბინატი ასე არ უნდა მუშაობდეს.

გ. იოსელიანი,
თბილისის № 19 გასტრონომიული მაღაზიის დირექტორი.

სოფლის მშრომელები მოითხოვენ...

საშუალო სკოლა, ამბულატორია, ვეტერინარული პუნქტი და სხვა დაწესებულებანი თანამედროვე საბჭოთა სოფლის ნამდვილ იერს აძლევენ ხცისს. მაგრამ არის ერთი მოუგვარებელი საკითხი, რომლის გადაწყვეტა გაუმჯობესებდა მშრომელთა კეთილდღეობას, უფრო კეთილმოწყობილს გახდიდა სოფელს.

ხცისს არა აქვს ელექტროშუქი, მისი გამოყვანის სრული შესაძლებლობა კი არსებობს. მეზობელი სოფლის — ქვემო ოსიაურის კოლმეურნეთა ბინები და საკლმეურნეო ნაგებობანი კარგა ხანია გაჩირაღდნებულია ილიჩის ნათურებით, ხოლო ქვემო ოსიაურიდან ხცისში სინათლის გაყვანა კი დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს.

ხცისელი მშრომელები ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ მეტ გულისხმიერებას, სოფლის ელექტროშუქით უზრუნველყოფის საკითხის დაჩქარებით გადაწყვეტას.

დ. ლოგჟანიძე,
ხაშურის რაიონის სოფელ ხცისის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

უხვად მივაწოდოთ საბჭოთა მშრომელებს საუკეთესო ხარისხის კონსერვები და ღვინოები

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ ჩვენი ქვეყნის მშრომელების მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს V სესიის გადაწყვეტილებები და საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ მალენკოვის მიერ ამ სესიაზე წარმოთქმული სიტყვა გადაუდებელ ამოცანად გვისახავს ორი-სამი წლის მანძილზე აკვეთრად ავამაღლოთ მოსახლეობის მომარაგება სასურსათო და სამრეწველო საქონლით, სწრაფად შემოვაბრუნოთ სახალხო მოხმარების საგნების წარმოება, უზრუნველყოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის უფრო სწრაფი განვითარება.

ამ ამოცანების განხორციელება მეტად სერიოზულ და დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენი რესპუბლიკის ღვინისა და საკონსერვო მრეწველობის მუშაკებს.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი და წამყვანი დარგია.

ქართულ ღვინოებს თავისი მაღალი ხარისხით ძველთაგანვე კარგად იცნობდნენ ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც.

მევენახეობა-მეღვინეობის ნამდვილი აღმავლობა ჩვენში დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. მნიშვნელოვნად გადიდდა ვენახების ფართობები და გაუმჯობესდა მათი მოვლა, ამაღლდა ვენახების დამუშავებისა და ღვინის წარმოების მექანიზაცია.

საქართველოში ღვინის დიდ ნაწილს აწარმოებენ სამტრესტი და საქართველოს შამპანკომბინატი.

სამტრესტი 16 მევენახეობის, მეხილეობის სამ საბჭოთა მეურნეობას და 45 ღვინის, კონიაკის, სპირტის, ლიქიორის და არყის საწარმოს აერთიანებს, შამპანკომბინატი კი — მევენახეობის 6 საბჭოთა მეურნეობას და ღვინის 12 საწარმოს. სამტრესტის მარკით გამოშვებულ ქართულ ღვინოებს და კონიაკებს ყველგან კარგად იცნობენ.

მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებიდან აღსანიშნავია წინანდლის, ხირსის, ყვარლის, მუკუზნის, ყულარის, ნაფარეულისა და სხვა მეურნეობები, რომლებიც ყოველწლიურად ყურძნის უხვ მოსავალს და მაღალხარისხოვან ღვინის მასალას იძლევიან.

საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის შემდგომი აღმავლობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ზემდგომი ორგანოების სადირექტივო მითითებებს, რომლის განხორციელების შედეგად საგრძნობლად გაუმჯობესდა ვენახების მოვლა და გაიზარდა ღვინის მრეწველობა.

მიმდინარე 1953 წელს ჩამოყალიბდა სამგორის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც საქართველოს დედაქალაქის მშრომელებს მიაწვდის საუკეთესო ხარისხის სუფრის ჯიშის ყურძენს.

მომავალ 1954 წელს დაიწყება კიდევ ორი ახალი მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების მშენებლობა — თბილისის გარეუბანში და ჩოხატაურის რაიონში.

1952 წელს სამტრესტის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში ყურძნის კარგი მოსავალი იყო. ტრესტის ხაზით საშუალოდ ჰექტარზე 54,3 ცენტნერი ყურძენი მიიღეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50,3 ცენტნერისა. განსაკუთრებით მაღალი მოსავალი ჰქონდათ ხირსის, ყულარის, მანავის და ბომბორის საბჭოთა მეურნეობებს.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობა, მაგალითად, ბოლნისის, კარდანახის, ვარციხის და ბახვისა, ჯერ კიდევ დაბალ მოსავალს იღებს.

სამტრესტის ღვინის, კონიაკის, ლიქიორის და არყის საწარმოები წლითიწლობით მზარდი რაოდენობით აწვდიან პროდუქციას მშრომელებს, აფართოებენ ასორტიმენტს, აუმჯობესებენ ხარისხს.

თუ 1940 წელს სამტრესტმა დაამზადა 14.570 ათასი ლიტრი ღვინო, 470 ათასი ლიტრი კონიაკი და 127 ათასი ლიტრი ყურძნის წვენი, 1950 წლისათვის გამოუშვა 7.620 ათასი ლიტრით მეტი ღვინო, 260 ათასი ლიტრით მეტი კონიაკი და 85 ათასი ლიტრით მეტი ყურძნის წვენი, მიმდინარე წლის გეგმით კი თითქმის ერთიორად გაიზრდება ღვინის წარმოება, სამჯერ და კიდევ მეტად — კონიაკისა, ერთიორად და მეტად—ყურძნის წვენისა.

საქართველოს შამპანკომბინატის საწარმოებმა 1952 წელს 1940 წელთან შედარებით პროდუქციის გამოშვება გაადიდეს ორნახევარჯერ და მეტად.

ცნობილია, რომ აღრე 64 დასახელების ღვინო გვქონდა, მათ შორის ზოგიერთი მარკის ღვინო იმდენად მცირე რაოდენობით მზადდებოდა, რომ მიუწვდომელი იყო ფართო მომხმარებლისათვის. 1951 წლიდან დამუშავებულ იქნა და გამოდის სულ 25 დასახელების ღვინო. ამ ღონისძიებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას.

პროდუქციის გამოშვების შემდგომი გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად შენდება და უახლოეს ხანში საექსპლოატაციოდ გადაეცემა ღვინის პირველადი გადამუშავების ახალი ქარხნები — ბადიაურში, ქისტაურში, ობჩაში, წითელხევში, სიმონეთში, ყვარელში, ველისციხესა და გეგეჭკორში. მომავალი წლიდან მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადგება კიდევ მთელი რიგი ახალი ქარხნები, მათ შორის აკურის, ხირსის, საგარეჯოს და გუდაუთისა, აგრეთვე შამპანკომბინატის რამდენიმე ახალი საწარმო.

ავჭალაში დაწყებულია ღვინის მძლავრი ქარხნის მშენებლობა, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე უახლესი ტექნიკით და წლიურად 10 მილიონ ლიტრ ღვინოს გამოუშვებს.

სამტრესტის საბჭოთა მეურნეობები მიმდინარე წელს დიდი რაოდენობით მიაწვდიან მომხმარებელს ყურძენსა და ხილს. ნაცვლად 1952 წლის 1.280 ტონისა, წელს სარეალიზაციოდ გადაცემულ იქნება 3.000 ტონაზე მეტი მაღალხარისხოვანი ყურძენი და სახელმწიფოს ჩაბარდება 6.000 ტონაზე მეტი ხალი. ყურძნისა და ხილის გასაყიდი ფასი სანახევროდ შემცირებულია.

მიუხედავად ამისა, რომ სამინისტრომ და სამტრესტმა გარკვეული მუშაობა გასწიეს ზემდგომი ორგანოების მითითებათა განხორციელებისათვის და ყოველწლიურად გადაჭარბებით ასრულებენ პროდუქციის გამოშვების გეგმებს, მაინც ყველა რაიონში ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი ყურძნის დამზადებისა და გადამუშავების ნორმალური პირობები. ჩამორჩენა გვაქვს ახალი საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის საქმეშიც.

მალე რთველიც დაიწყება. მოსავალი უხვი და ბარაქიანი ჩანს. სამტრესტის მთელი კოლექტივის წარმატება ძირითადად იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად მომზადებული შეხვდება იგი სეზონს. ახლა მთელი ყურადღება სწორედ აქეთკენ უნდა იქნას წარმართული.

მოსავლის უდანაკარგოდ გადამუშავებისა და მაღალი ხარისხის პროდუქციის მიღებისათვის დროულად მომზადების მიზნით ამ დღეებში სამინისტროში გაიმართა მეღვინეობის მუშაკთა თათბირი. თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს პარტიისა და მთავრობის დირექტივების განხორციელებას.

თუ მევენახეობა-მეღვინეობა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უძველესი დარგია, საკონსერვო მრეწველობა სრულიად ახალგაზრდა დარგია. იგი მხოლოდ საბჭოთა წყობილების დროს შეიქმნა. 1928 წელს საქართველოში სულ 1,5 მილიონი ქილა კონსერვი მზადდებოდა. ახლა უკვე ჩვენს კონსერვებსა და მურაბებს ყველგან იცნობენ. საბჭოთა კავშირში არ არის ისეთი კუთხე, სადაც ქართული კონსერვები არ მიდიოდეს.

პირველი ხუთწლედების პერიოდში აიგო რამდენიმე საკონსერვო საწარმო, მნიშვნელოვნად გაიზარდა პროდუქციის გამოშვება. უკვე 1940 წლისათვის საქართველოში იყო 7 საკონსერვო ქარხანა, ხოლო პროდუქციის რაოდენობამ 28 მილიონ ქილას მიაღწია.

ომისშემდგომ წლებში მეტი წილი ქარხნები რეკონსტრუირებულ იქნა. საკონსერვო მრეწველობა აღიჭურვა ახალი ტექნიკით, განხორციელდა მთელი რიგი პროცესების მექანიზაცია. ისეთ მსხვილ საწარმოებში, როგორიც არის ქუთაისისა და გორის ქარხნები, მთლიანად მექანიზებულია კომპოტის, სოუსის, ტომატ-ფაფისა და ბოსტნეულის სასაუზმე კონსერვების კონვეიერები. დანარჩენ დიდ ქარხნებში დაიდგა ქილების მიმწოდებელი და ქილების სარეცხი მოწყობილობა. გარდა ამისა, მექანიზებულია წარმოების ცალკეული პროცესები — ტყემლისა და ქლიავის დახარისხება, სამურაბე კაკლის დაჩხვლეტა და სხვ.

საგრძნობლად გაიზარდა პროდუქციის გამოშვება. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია დამზადდეს 2,1-ჯერ მეტი კონსერვი, ვიდრე 1940 წელს, განსაკუთრებით დიდდება ბოსტნეულის კონსერვების, კომპოტების, ციტრუსოვანთა ნაყოფისაგან დამზადებული ნატურალური წვენის გამოშვება, რომელზეც მომხმარებელთა დიდი მოთხოვნილებაა. წელს დამზადდება 2,5-ჯერ მეტი ბოსტნეულის კონსერვები, თითქმის 6-ჯერ მეტი კომპოტი და 8,5-ჯერ მეტი მანდარინის ნატურალური წვენი, ვიდრე 1940 წელს.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა ასორტიმენტი. საკონსერვო ქარხნები უშვებენ ფეიხოას მურაბას, ხილის მარინადებს და სხვ. გაუმჯობესდა საკონსერვო პროდუქციის გარეგნული გაფორმება და გაიზარდა მისი გამოშვება მცირე მოცულობის ჭურჭლით. უკვე 1949 წლიდან 220-გრამიანი ჭიქებით იყიდება მურაბები. საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, მაგრამ ეს ამას არ ნიშნავს, რომ საკონსერვო მრეწველობის მუშაკები თვითდამშვიდებას მიეცნენ. პირიქით, ჯერ კიდევ გასაკეთებელი ბევრია, შეუსრულებელია 7 თვის გეგმა ხარისხის მიხედვით. საჭიროა ზრუნვა მისი შემდგომი გაუმჯობესებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ნაწარმის გაფორმებას, კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ბრძოლა ფარული რეზერვების გამოსავლინებლად.

საკონსერვო მრეწველობის მუშაკთა ვალია დაუცხრომლად ზრუნავდნენ იმისათვის, რომ მშრომელთა სუფრას ამშვენებდეს მათ მიერ დამზადებული მაღალხარისხოვანი, გემრიელი და სასაამო

დასავლეთ გერმანიაში არჩევნების შედეგების შესახებ

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური გამგეობის სამდივნოს განცხადება

ბერლინი, 8 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ადნ-ის სააგენტო დიუსელდორფიდან იუწყება, გერმანიის კომპარტიის ცენტრალური გამგეობის სამდივნომ 7 სექტემბერს გააკეთა განცხადება ბუნდესტაგის არჩევნების შედეგების გამო.

გერმანიის კომპარტიის ცენტრალური გამგეობის სამდივნომ ამხანაგ მაქს რაიმანის თავმჯდომარეობით, ნათქვამია განცხადებაში, 1953 წლის 7 სექტემბერს განიხილა ბუნდესტაგის არჩევნების შედეგები.

„პარტიისა და ხალხის მტრები ტერორს უქმნიდნენ ჩვენი პარტიის წევრებს, რომლებიც ეწეოდნენ წინასაარჩევნო მუშაობას, ცდილობდნენ ჩაეშალათ მიტინგები და არ ერიდებოდნენ თავდასხმების მოწყობას და ძმიმე დასახიჩრების მიყენებას. პარტია მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ფაშისტური ტერორისტული ბანდის მიერ ცემის შედეგად გარდაიცვალა ფულდელი ამხანაგი ოტო მიულერი. პარტიის ბევრი წევრი ძმიმედ დაიჭრა.

ეს იყო საარჩევნო ბრძოლა, რომელიც მოგვაგონებდა 1933 წლის ფაშისტური დიქტატურის ყველაზე უარეს დროს.

ჩვენი პარტიის მამაცმა და გაბედულმა წევრებმა არა მარტო გაუძღვნა ამ ტეროროს, არამედ ყოველ მოგერიეს მისი შემოტევა სოციალ-დემოკრატებთან და უპარტიო მუშებთან მოქმედების ერთიანობით“.

„დასავლეთ გერმანიის მოსახლეობამ, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, — აირჩია ისეთი ბუნდესტაგი, რომელიც წარმოადგენს დიდ საფრთხეს ჩვენი ხალხისათვის და ჩვენი მეზობელი ხალხებისათვის. ეს ბუნდესტაგი დასავლეთ გერმანიაში განახორციელებს ბონისა და პარიზის სამხედრო ხელშეკრულებებს. ამ პოლიტიკის განხორციელება შეუძლებელს ხდის გერმანიის გაერთიანებას და უშუალოდ ემუქრება მშვიდობას ევროპაში.

დასავლეთ გერმანიის მოსახლეობამ სავსებით ნათლად უნდა წარმოიდგინოს 6 სექტემბერს გამოტანილი გადაწყვეტილებით შორს გამიზნული შედეგები. არჩეული ბუნდესტაგი ბევრად უფრო უარესია ძველ ბუნდესტაგზე. ახალ ბუნდესტაგში გადამწყვეტია მონოპოლისტური და სამანკო კაპიტალის ძალები, მილიტარისტები, ფაშისტები და რევანშის პოლიტიკოსები, რომლებმაც უკვე ორჯერ მიიყვანეს ჩვენი ხალხი კატასტროფამდე და მზად არიან გააკეთონ ეს მესამედ.

სამწუხაროდ, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას მხედველობაში არ მიუღია ჩვენი პარტიის თავმჯდომარის მაქს რაიმანის სერიოზული გაფრთხილება: „ვინც ადენაუერს ირჩევს, ის ომს ირჩევს!“.

განცხადებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ მხოლოდ მთელი გერმანელი ხალხის, განსაკუთრებით მუშათა კლასის გადამწყვეტ წინააღმდეგობას შეუძლია ხელი შეუშალოს ამ რეაქციული ბუნდესტაგის მოქმედებას და „გერმანიაში და გერმანიის გარეთ ძალის ბატონობის მის პოლიტიკას“.

„ბუნდესტაგის არჩევნების მეორე დღესვე, — აღნიშნულია განცხადებაში, — ადენაუერმა ამხილა თავისი პოლიტიკის ნამდვილი ხასიათი, როცა განაცხადა, რომ ამომრჩეველმა მას თითქოს მისცეს უფლება განახორციელოს ბონისა და პარიზის ხელშეკრულებანი. ბონისა და პარიზის ხელშეკრულებათა განხორციელებით დასავლეთ გერმანია აღარ იქნება მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო. მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები არ დაეთანხმებიან ადენაუერის აგრესიულ პოლიტიკას დასავლეთ გერმანიაში. ისინი „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ პოლიტიკის განხორციელებას სამართლიანად შეხვდებიან, როგორც საფრთხეს საკუთარი უშიშროებისათვის. თავიანთ საკუთარ ქვეყნებში მშვიდობისმოყვარე ხალხები გადაჭრით და წარმატებით გაუწევენ წინააღმდეგობას ამერიკის სამხედრო პოლიტიკის განხორციელებას და გააძლიერებენ დახმარებასა და მხარდაჭერას ერთიანი, მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული და დამოუკიდებელი გერმანიის აღდგენის საქმეში“.

გერმანიის კომპარტიის საქმიანობის შესახებ განცხადებაში ნათქვამია, რომ როგორც არჩევნების შედეგები ცხადყოფს, კომუნისტურ პარტიას ჯერ კიდევ უნარი არ აღმოჩენდა დაეძლია ფაშისტური იდეოლოგიის, ნაციონალიზმისა და შოვინიზმის ნაშთები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს მოსახლეობის გარკვეულ ფენებში, და შეექმნა ნამდვილად დემოკრატიული ეროვნული შეგნება.

„ჩვენმა პარტიამ ვერ მოახერხა დამაჯერებლად განემარტა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მნიშვნელობა და როლი მშვიდობის შენარჩუნებისა და გერმანიის მშვიდობიანი გაერთიანების საქმეში. საარჩევნო ბრძოლამ ცხადყო, რომ ბევრნი ჩვენი პარტიის პოლიტიკას ეცნობიან ჯერ კიდევ ჩვენი მტრების განცხადებებით, რომლებიც დამახინჯებულად ხატავენ მას“.

„გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის გამგეობის მერყეობა და არათანმიმდევრულობა და მისი განუწყვეტელი დათმობანი ადენაუერის აგრესიული პოლიტიკისადმი აბნევდა ხალხს... გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობის ანტაკომუნიზმი, როგორც ეს კვლავ დამტკიცა ისტორიამ, მოასწავებდა დახმარებას რეაქციისადმი, აგრესიული იმპერიალისტური ძალებისადმი.

გერმანიის მუშათა კლასმა, ყველა სოციალ-დემოკრატმა და პატრიოტმა აქედან უნდა გამოიტანოს ძალიან სერიოზული გაკვეთილი: ბოლო უნდა მოეღოს ცილისმწამებლურ კამპანიას კომუნისტების წინააღმდეგ! ბოლო უნდა მოეღოს ცილისწამებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ! ბოლო უნდა მოეღოს ცილისწამებას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ! ადენაუერის ყველა მოწინააღმდეგემ ერთობლივად უნდა იბრძოლოს ახალი ფაშისტური ტერორისტული ბატონობის წინააღმდეგ!“.

განცხადების დასასრულს ნათქვამია: „6 სექტემბრის არჩევნების შედეგები არათუ არ შეაჩერებს ატმოსფეროს გერმანიასა და ევროპაში, არამედ გააძწვავებს დაძაბულობას. არჩევნების შედეგები გააძლიერებს გერმანიის მშვიდობიან გაერთიანებას. ამიტომ ჩვენი ხალხის უპირველესი ამოცანაა გააძლიეროს ბრძოლა იმისათვის, რომ მიღწეულ იქნას შეთანხმება გერმანელთა შორის და ოთხ დიდ სახელმწიფოს შორის გერმანიის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით. დემოკრატიულ საფუძველზე გერმანიის რაც შეიძლება მალე გაერთიანების გზაზე უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია სრულიად გერმანიის დროებითი მთავრობის შექმნა, რომლის მთავარი ამოცანაა მოამზადოს და მოაწყოს თავისუფალი არჩევნები მთელ გერმანიაში.

ახლანდელი რეაქციული ბუნდესტაგი გააძლიერებს ანტისოციალურ პოლიტიკას, რომელიც მიმართული იქნება მშრომელთა წინააღმდეგ. ეს რეაქციული ბუნდესტაგი ვერ გადაჭრის გერმანიის მშვიდობიანი ეკონომიკის პრობლემას. პირიქით, ქალაქისა და სოფლის უფარფოიესი მშრომელი ფენების მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება. მუშათა კლასმა უნდა იბრძოლოს თავისი სოციალური და დემოკრატიული უფლებების დასაცავად და გააჩაღოს ბრძოლა ადენაუერის ანტიხალხური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ჩვენი ხალხისათვის ამ უაღრესად საშიშ მდგომარეობაში გერმანიის კომპარტიის გამგეობის სამდივნო მოუწოდებს ყველა კომუნისტს დაუყოვნებლივ დაამყარონ კონტაქტი სოციალ-დემოკრატ, ქრისტიან და უპარტიო ამხანაგებთან და მასთან ერთად განახილონ ჩვენი ხალხის ეროვნული, დემოკრატიული და სოციალური ინტერესების დაცვის ღონისძიებანი.

ახლა საჭიროა უფრო მტკიცედ დავრაზმოთ პარტიის რიგები და კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა დავამყაროთ მასებთან.

მიუხედავად ტერორისა, 9 მილიონმა კაცმა უარყო ადენაუერის აგრესიული სამხედრო პოლიტიკა. ეს 9 მილიონი კაცი დიდ ძალას წარმოადგენს.

მაგრამ დროა ბოლო მოვუღოთ ნახევრად მოქმედებას და არათანმიმდევრულობას და გავაერთიანოთ ადენაუერის ყველა მოწინააღმდეგე. ისინი უნდა გამოვიდნენ ადენაუერის წინააღმდეგ, რათა ხელი შეუშალონ მისი პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც საშიშია გერმანიის ცხოვრებისათვის. განსაკუთრებით სოციალ-დემოკრატები და კომუნისტები, რომლებიც ქალაქებში, სოფლებსა და საწარმოებში ერთად გამოდიოდნენ ადენაუერის წინააღმდეგ საარჩევნო ბრძოლის დროს და უფრო ახლოს გაიცნეს ერთმანეთი, უნდა დაირაზმონ კიდევ უფრო მჭიდროდ, რათა გააქტიურონ მუშათა კლასის მთელი ძალები. ადენაუერის მოწინააღმდეგენი, მშვიდობისმოყვარე და პატრიოტულად განწყობილი გერმანელები არ უნდა შეაკრთოს არჩევნების შედეგებმა, რომლებიც მიღწეულია მილიონი მოტყუების საშუალებით. ახლა საჭიროა დიდი ახსნაგანმარტებითი მუშაობა. ვერავინ ვერ გათავისუფლებს გერმანელ ხალხს პასუხისმგებლობისაგან მის წინაშე მდგომი დიდმნიშვნელოვანი ამოცანის შესრულებისათვის: დააყენოს გერმანია მშვიდობის გზაზე და გაანადგუროს აგრესიის ძალები. ხალხს ამისათვის საკმაო ძალა ექნება, თუ იგი გაბედულად იბრძოლებს ყველა პატრიოტთა და ადენაუერის მოწინააღმდეგეთა ერთიანობისათვის და დემოკრატიული გერმანიის ბურჯთან — გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ერთად გადამჭრელ ბრძოლაში მხარს დაუჭერს დროებითი მთავრობის დაუყოვნებლივ შექმნას მთელი გერმანიისათვის. მაშინ ალაგმულ იქნებიან აგრესიული ფაშისტური ძალები, მაშინ გაერთიანდებიან დემოკრატიული ძალები მთელ გერმანიაში, გარანტირებული იქნება დემოკრატია, გაიხსნება გზა ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან შეთანხმებისათვის და გერმანია შევა ხალხთა დიდ ოჯახში როგორც მშვიდობისმოყვარე დიდი სახელმწიფო“.

დასავლეთ გერმანიაში მომხდარი არჩევნების შემდეგ

ბერლინის დემოკრატიული პრესის კომენტარები

ბერლინი, 8 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ბონიდან გამოგზავნილ ცნობებში, ისე დემოკრატიული პრესის სარედაქციო კომენტარებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნებისათვის მზადებაც და თვით არჩევნებიც მიმდინარეობდა მოსახლეობის დაშინებისა და ტერორის ვითარებაში, უცხოელ ოკუპანტთა მიერ აშკარა ზეგავლენისა და ჩარევის ვითარებაში. „ამერიკული ჯარჩენები დასავლეთ გერმანიაში“ — ასე უწოდებს გერმანიის დემოკრატიული პრესა ბონის ბუნდესტაგის არჩევნებს.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი“ წერს, რომ „დასავლეთმა გერმანიამ აირჩია ყველაზე ცუდი ბუნდესტაგი“, და აღნიშნავს ფაშიზმისა და რევანშიზმის საფრთხის გაძლიერებას.

დასავლეთ გერმანიისათვის, წერს „ნოიეს დოიჩლანდი“, შეიქმნა საშიში მდგომარეობა, რადგან ადენაუერის ხროვა მილიტარიზმისა და რევანშიზმის შტაბია. უეჭველია, შეიარაღების ამერიკელი მაგნატები და დასავლეთგერმანელი რევანშისტები სამხედრო მრეწველებთან ერთად შეეცდებიან არჩევნების შედეგები გამოიყენონ იმისათვის, რომ დასავლეთი გერმანია რაც შეიძლება მალე გადააქციონ ახალი მსოფლიო ომის სამხედრო პლაცდარმად.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ადენაუერისათვის მიცემული ხმები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც ამომრჩეველთა თანხმობა მილიტარიზმისა და ომის პოლიტიკაზე.

გერმანიის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ცენტრალურმა ორგანომ გაზეთმა „ნოიე ციტმა“ ცნობა ბუნდესტაგის არჩევნების შესახებ მოათავსა სათაურით: „არჩევნები ამერიკული ნიშვნით“.

გაზეთი „ნაციონალ ციტუნგი“ მოწინავე სტატიაში „კვლავ 1933 წლის 5 მარტი?“ 6 სექტემბრის არჩევნების შედეგებს, რამაც გამარჯვება მოუტანა მილიტარისტთა და რევანშისტთა ბონის ხროვას ადენაუერის მეთაურობით, ადარებს 1933 წლის 5 მარტს, რომელიც აღინიშნა გერმანელი ხალხისათვის საბედისწერო შედეგით — გერმანელ იმპერიალისტთა დაქირავებული აგენტის ჰიტლერის „გამარჯვებით“. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ 6 სექტემბრის არჩევნების შედეგები გერმანიისათვის ნიშნავს „ახალი ომისა და კატასტროფის საფრთხეს“.

გერმანიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „დერ მორგენი“ კომენტარს უკეთებს დასავლეთ გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნებს და წერს:

არ შეიძლება დავუშვათ, რომ ადენაუერმა ისარგებლოს არჩევნების შედეგებით და დასავლეთი გერმანია კატასტროფის გზაზე დააყენოს. მთელი ძალები, რომლებიც შეთანხმებას ესწრაფვიან, უნდა გაერთიანდნენ მშვიდობისა და დემოკრატიის გადასარჩენად.

* * *

ბერლინი, 8 სექტემბერი. (საკდესი). დასავლეთ გერმანიის დპა-ს სააგენტომ გადასცა საბოლოო ცნობები ბუნდესტაგის არჩევნების შედეგების შესახებ.

ამ ცნობების თანახმად, ადენაუერის პარტიამ ქრისტიან-დემოკრატთა კავშირმა — ქრისტიანთა სოციალურმა კავშირმა მიიღო 244 მანდატი, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ — 150 მანდატი, მთავრობის ბლოკში შემავალმა რეაქციულ-ბურჟუაზიულმა „თავისუფალმა დემოკრატიულმა პარტიამ“ — 48 მანდატი, ბონის კოალიციის მესამე პარტიამ ნაციონალისტურმა „გერმანულმა პარტიამ“ — 15 მანდატი, „სრულიად გერმანიის ბლოკმა“ (გადასახლებულ გერმანელთა პარტია) — 27 მანდატი, კათოლიკურმა ბურჟუაზიულმა „ცენტრის პარტიამ“ — 3 მანდატი. მანდატების საერთო რაოდენობაა — 487.

როგორც ცნობილია, ბონის საარჩევნო კანონის საფუძველზე ბუნდესტაგში არჩეული უნდა ყოფილიყო 484 დეპუტატი. მაგრამ ამ რიგული და დახლართული საარჩევნო კანონით არჩევნების მსვლელობაში შესაძლებელია ისეთი მდგომარეობა, რომლის დროსაც დეპუტატთა რაოდენობა შეიძლება გადიდდეს. ამის შედეგად ხმების დათვლისას მოღებულ იქნა გადაწყვეტილება ბუნდესტაგში დეპუტატთა ადგილების საერთო რაოდენობის 487-მდე გადიდების შესახებ, ამასთან ორი დამატებითი ადგილი მიიღო ადენაუერის პარტიამ — ქრისტიან დემოკრატთა კავშირმა — ქრისტიანთა სოციალურმა კავშირმა და ერთი ადგილი — „გერმანულმა პარტიამ“.

ბულგარეთის განთავისუფლების მეცხრე წლისთავი

საზეიმო კრება სოფიაში

სოფია, 8 სექტემბერი. (საკდესი). დღეს სოფიის სახალხო თეატრში გაიმართა საზეიმო კრება, მიძღვნილი საბჭოთა არმიის მიერ ფაშიზმისაგან ბულგარეთის განთავისუფლების მეცხრე წლისთავისადმი. კრებას დაესწრნენ დედაქალაქის მშრომელები, სოციალისტური შრომის გმირები, დიმიტროვული პრემიის ლაურეატები, სახალხო არმიის წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დიპლომატიური წარმომადგენლები.

კრებაზე ვრცელი მოხსენება გააკეთა ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ვილკო ჩერვენკოვმა.

ამ საზეიმო კრებაზე ჩვენი პირველი სიტყვა, თქვა ვილკო ჩერვენკოვმა, უნდა ვუღღვნათ საბჭოთა კავშირს, მომძე საბჭოთა ხალხებს და მათს სახელოვან საბჭოთა არმიას. ჩვენ მივმართავთ მათ ურყევი სიყვარულითა და დიდი პატივისცემით, უსაზღვრო მადლობისა და მადლიერების გრძნობით.

მომხსენებელმა ილაპარაკა ბულგარეთის პირველი ხუთწლედის შესრულების შედეგებსა და სოციალიზმის მშენებლობაში მიღწეულ წარმატებებზე.

9 სექტემბერმა, თქვა ჩერვენკოვმა, ახალი ცხოვრება შეუქმნა ჩვენს ხალხს. ახლა ჩვენი საშობლო წარმოადგენს ისეთ ქვეყანას, სადაც თავისი ბედის ერთადერთი პატრონია თვითონ ხალხი. სწრაფი ტემპით ძლევს იგი თავის საუკუნებრივ ჩამორჩენილობას.

ვილკო ჩერვენკოვმა აღნიშნა, რომ პირველი ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმა ძირითადად შესრულებულია ოთხ წელიწადში.

კრების მონაწილეებმა ორაერთხელ შეაწყვეტინეს ვილკო ჩერვენკოვს მოხსენება ტაშით საბჭოთა კავშირის, მისი კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის პატივსაცემად.

კრებამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო მისალმება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

ბერლინის საპაერო უშიშროების საკითხებზე ოთხი სახელმწიფოს წარმომადგენელთა სხდომის კომუნიკე

ბერლინი, 8 სექტემბერი. (საკდესი). 7 სექტემბრს ბერლინში საბჭოთა ხელისუფალთა წევრობაში გაიმართა საბჭოთა კავშირის, ამერიკის, ინგლისისა და საფრანგეთის სამხედრო ხელისუფალთა წარმომადგენლების მეცხრე სხდომა საპაერო უშიშროების საკითხებზე.

საბჭოთა დელეგაციას მეთაურობდა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი პოდგორნი, ამერიკისას — ავიაციის ბრიგადის გენერალი ბიბი, ბრიტანეთისას — ავიაციის ვიცე-მარშალი ედვარდსჯონსი, საფრანგეთისას — ავიაციის დივიზიის გენერალი მონტრელე.

სხდომაზე გრძელდებოდა თვითმფრინავთა ფრენის უშიშროების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. სხდომაზე განხილულ იქნა 4 დელეგაციის მიერ წარდგენილი მთელი რიგი წინადადებანი ჰაერში თვითმფრინავთა შორის ვიზუალური სიგნალიზაციის ახალი სისტემის გამოყენების შესახებ. ტექნიკური ექსპერტების სამუშაო ჯგუფს მიეცა მუშაობის განგრძობისათვის საჭირო მითითებანი.

შემდეგი სხდომა გაიმართება ბერლინში ამერიკის სამხედრო ადმინისტრაციის შენობაში. სხდომის დღე და საათი დადგენილი იქნება უფრო გვიან.

სამხედრო მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ფრანკისტულ ესპანეთს შორის

ვაშინგტონი, 7 სექტემბერი. (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, რომ ვაშინგტონში იმყოფება ამერიკის ელჩი ესპანეთში დანი, რომელიც მუშაობს შეერთებულ შტატებსა და ესპანეთს შორის სამხედრო შეთანხმების დეტალების საბოლოო მოწესრიგებაზე.

ფრანკისტულ ესპანეთთან შეთანხმება ითვალისწინებს შეერთებული შტატებისათვის სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ბაზების მიცემას. შეთანხმება გაითვალისწინებს, ჯერ-ერთი, ესპანეთის საავიაციო ბაზების მოდერნიზაციას ამერიკის სტრატეგიული ბომბდამშენების მიერ მათ გამოსაყენებლად. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტი, რომელიც ხმელთაშუა ზღვაში იმყოფება, შეძლებს ისარგებლოს ესპანეთის დაცული ნავსადგურებით.

ესპანეთი მიიღებს 215.400 ათას დოლარს როგორც სამხედრო და ეკონომიურ „დახმარებას“. ამ „დახმარებამ“, სააგენტოს ცნობით, ხელი უნდა შეუწყოს „გზატკეცილების, რკინიგზებისა და კავშირგაბმულობის ხაზების მოდერნიზაციას, რომლებსაც ომში დიდი მნიშვნელობა აქვთ“.

შეთანხმება გაითვალისწინებს აგრეთვე იარაღის, ხოლო შესაძლოა, ახალი მოწყობილობის მიწოდებასაც ესპანეთის სამხედრო საწარმოებისათვის. სააგენტო აღნიშნავს, რომ ასეთი პირობების ხელმოწერის შემდეგ „ესპანეთი ამერიკის შეერთებული შტატების ასპროცენტიანი მოკავშირე გახდება“.

საერთაშორისო საჰაერაკო ტურნირი შვეიცარიაში

ნოიჰაუზენი, 9 სექტემბერი. (საკდესი). გუშინ მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა საჰადრაკო ტურნირის მეექვსე ტურში მალე დამთავრდა კერეს-ბოლესლავსკის შეხვედრა. შავებმა პარტიის დასაწყისიდანვე არასწორად შესწირეს ეტლი, კერესმა ადვილად გაქარწყლა მოწინააღმდეგის მუქარა და გამარჯვება მოიპოვა უკვე 22-ე სვლაზე.

ტამანოვმა ძლიერი იერიში შექმნა მეფის ფლანგზე პარტიაში ავერბახთან. დიდი მატერიალური ზარალის საშიშროების გამო ავერბახი იძულებული გახდა იარაღი დაეყარა. ნაიდორფმა მოუგო პეტროსიანს, რომელმაც შუა თამაშში ვერ შეამჩნია პაიკის დაკარგვა, რის შემდეგ პეტროსიანის მდგომარეობა უიმედო გახდა. 4 პარტია გადადებულია: სმისლო